UK Government

UN WOMEN

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის“ მონიტორინგის ანგარიში

2025

გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალებისა და გოგოების ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტული საჭიროებების ის დაკმაყოფილება.

გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენ¬დერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ქალთა თანაბარ მონაწილეობას ცხოვრების ყველა სფეროში და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პრო¬ცესებში. ამასთან, გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია კოორდინაციას უწევს და ახალისებს გაერო-ს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობას.

გამოცემა მომზადდა პროექტის - „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერაა მხარდაჭერილი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის ან დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორ(ებ)ი.

© გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2024 წ.

სარჩევი

1. შესავალი **4**

2. მეთოდოლოგია **5**

3. შეჯამება **8**

4. შეფასების შედეგები **10**

4.1. მოქმედების სფერო I: ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში 10

მოქმედების სფერო I - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 19

მოქმედების სფერო I - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 20

მოქმედების სფერო I - შეჯამება 21

4.2. მოქმედების სფერო II: ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია 21

მოქმედების სფერო II - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 27

მოქმედების სფერო II - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 28

მოქმედების სფერო II - შეჯამება 28

4.3. მოქმედების სფერო III: ქალთა გაძლიერება და დაცვა 29

მოქმედების სფერო III - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 35

მოქმედების სფერო III - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები 37

მოქმედების სფერო III - შეჯამება 39

5. ძირითადი მიგნებები **40**

5.1. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებები 40

5.2. პასუხისმგებელი უწყებები 41

6. რეკომენდაციები **43**

1. შესავალი

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში გეგმა) წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვასა და მათი როლის გაზრდას მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში. წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის[1] და მისი შემდგომი რეზოლუციების პრინციპებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე ადასტურებენ ქალთა ჩართულობისა და გაძლიერების მნიშვნელობას კონფლიქტების პრევენციასა და გადაწყვეტაში.

აღნიშნული რეზოლუციების შესრულების მიზნით, საქართველომ 2011 წელს პირველად დაამტკიცა ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2022-2024 წლების რიგით მეოთხე გეგმის[2] მიზნები მოიცავს როგორც გენდერული თანასწორობის განმტკიცებას, ასევე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგოების სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას. გეგმა ყურადღებას ამახვილებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაზრდაზე, მათი ჩართულობის უზრუნველყოფაზე უსაფრთხოების პროცესებში, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასა და გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრაციაზე მმართველობის ყველა დონეზე.

ამ დოკუმენტის მიზანია არა მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვა, არამედ მათი ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიც არის: კონფლიქტის მოგვარება, ძალადობის პრევენცია, გენდერული მგრძნობელობის გაძლიერება და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში სოციალური სტაბილურობის განმტკიცება.

საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, ახორციელებს აღნიშნული გეგმის განხორციელების მონიტორინგს ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასების, ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენის, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით. გეგმის შეფასების ანგარიშში განხილულია გაწეული საქმიანობებისა და ინიციატივების შესაბამისობა საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებთან და გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან.

შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა გეგმის განხორციელების პროგრესი, პროცესში არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, აგრეთვე, დასახული მიზნების უკეთ რეალიზაციის გზები ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გეგმის მონიტორინგის ანგარიში მიზნად ისახავს არსებული პროგრესის საფუძვლიან ანალიზს და რეკომენდაციების მომზადებას, რაც უზრუნველყოფს მეხუთე გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

1 გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები მისაწვდომია: http://www.peacewomen.org/why-WPS/solutions/resolutions.

2 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022–2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება #510, მისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5598617?publication=0.

2. მეთოდოლოგია

გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესი ეფუძნება ინფორმაციის შეგროვებისა[3] და ანალიზის მეთოდს, ასევე, მონაწილე მხარეების ჩართულობის შეფასებას. აღნიშნული მეთოდოლოგია ორიენტირებულია კომპლექსურ მიდგომაზე, რომელიც მოიცავს როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, ასევე, ხარისხობრივი ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან უშუალო კონსულტაციებისა და დისკუსიების გზით.

1. მონაცემთა შეგროვება

- გეგმის შესრულების პროცესის შეფასებისთვის აქტივობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა[4] და პარტნიორი ორგანიზაციებისგან, მათ შორის - სამიზნე მუნიციპალიტეტებისგან[5] წერილობით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია გეგმის აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს როგორც შესრულებული ღონისძიებების აღწერას, ასევე, იმ გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომლებიც ღონისძიებების განხორციელებისას წარმოიშვა.

2. ხარისხობრივი კვლევა

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების გამოცდილების უკეთ გასაგებად ჩატარდა 24 პირისპირ შეხვედრა, სადაც 194-მა ქალმა და 4-მა კაცმა მიიღო მონაწილეობ[6]. შეხვედრები მოიცავდა კონსულტაციებს და ღია დისკუსიებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის-ქალებთან, ახალგაზრდებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მათი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და გეგმის განხორციელების მიმართ დამოკიდებულებების შეფასების მიზნით. შეხვედრებზე გამოყენებულ იქნა წინასწარ შემუშავებული კითხვარი.
- გეგმის შეფასების ანგარიში, ასევე, ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის "ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიშს"[7], რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს გეგმის შესრულების შუალედურ

3 ანგარიში შესრულებულია 2024 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში.

4 გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები: 1.საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; 5. საქართველოს გენერალური პროკურატურა; 6. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; 7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; 8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 9. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 10, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; 11. სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო"; 12. სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური", 13. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; 14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; 15. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

5 სამიზნე მუნიციპალიტეტები: სამეგრელო-ზემო სვანეთი: მესტია, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი; იმერეთი: ქუთაისი, წყალტუბო, საჩხერე; შიდა ქართლი: გორი, ხაშური, კასპი, ქარელი; ქვემო ქართლი: რუსთავი, მარნეული, წალკა, თეთრიწყარო, დმანისი, ბოლნისი.

6 იხ.: ცხრილი1 და 2.

7 საქართველოს სახალხო დამცველი, "ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შეხვედრების ანგარიში", 2023 წელი; მისაწვდომია: https://shorturl.at/JIU7c

მონიტორინგს. ამ პროცესის ფარგლებში აპარატმა 2023 წელს საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე 37 სოფელში გამართა 35 შეხვედრა ჯამში, 196 ქალის მონაწილეობით.

ცხრილი N 1:

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებთან ჩატარებული შეხვედრები

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩატარებული შეხვედრები										
სოფლის დასახელება	პერევი	ქარზმანი	ჩორჩანა	გორაკა	თვაურები	დიცი	არბო	ხურჩა	მუჟავა	ქალე, ეწერ ფერდი, ფოცხო-ეწერი
შეხვედრის მონაწილე ქალების/ ახალგაზრ-დების რაო-დენობა	9	4	6	11	5	14	3	15	6	16
									სულ:	89

ცხრილი N 2:

დევნილთა ჩასახლებებში ჩატარებული შეხვედრები

	დევნილთა ჩასახლების დასახელება	შეხვედრის მონაწილე მოსახლეობის რაოდენობა	
		ქალი	კაცი
1	გორი, კარალეთი	7	
2	გორი, ვერხვები	4	
3	გორი, ბერბუკი	7	
4	გორი, სკრა	7	
5	ვაზიანი	7	
6	თეთრიწყარო	8	
7	შაუმიანი	6	
8	წილკანი	12	4
9	ქუთაისი, ახალი დასახლება	12	
10	ქუთაისი, ყოფილი ბავშვთა სახლის დასახლება	5	
11	წყალტუბო, კოლექტიური ცენტრი "მეტალურგი"	4	
12	წყალტუბო, ახალი დასახლება	13	
13	ხობი, ხეთა	7	
14	ზუგდიდი, ზედა ეწერე	6	
	სულ: ქალი	**105**	
	სულ: მოსახლეობა	**109**	

3. სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა

- შეხვედრები გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთანაც[8] როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ[9] დონეზე - საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში; სხვადასხვა პროექტის განხორციელების შესახებ ამ ორგანიზაციების დაკვირვებებისა და შეფასების გაცნობის მიზნით.

- შეფასების პროცესში შეხვედრები ჩატარდა, ასევე, გეგმის განხორციელების მხარდამჭერ პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან[10], რომლებიც პასუხისმგებელ უწყებებში უზრუნველყოფენ გამოცდილების გაზიარებას გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებში პოლიტიკის შემუშავების, საგანმანათლებლო თუ სხვა მიმართულებებით.

4. მონაცემთა ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

- გეგმის განხორციელების პროცესის შესაფასებლად შეგროვებული მონაცემები დამუშავდა და გაანალიზდა არსებული პროგრესის და იმ მიმართულებების იდენტიფიცირების კუთხით, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. ძირითადი მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები გეგმის მომდევნო ეტაპებზე ეფექტიანობის გაზრდისა და შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება უზრუნველყოფს გეგმის შესრულების საფუძვლიან ანალიზს, აგრეთვე, იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენას, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ გეგმის განხორციელებას.

8 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები: ქალთა საინფორმაციო ცენტრი, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა", ქალთა ფონდი "სოხუმი".

9 ადგილობრივ დონეზე შეხვედრაში მონაწილე ორგანიზაციები: "საია"-ს შიდა ქართლის ოფისი; ორგანიზაცია "მერკური"; დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი; ასოციაცია "იმედი".

10 საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

3. შეჯამება

“ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის” მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ **50 აქტივობიდან 41 განხორციელდა, 4 ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 5 აქტივობა არ შესრულებულა. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული აქტივობები, ძირითადად, შიდა უწყებრივი საქმიანობის ფარგლებში შესრულდა და მათ არ მოუხდენიათ ზეგავლენა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხზე.** შეფასების შედეგები მიუთითებს რამდენიმე ძირითად ტენდენციასა და გამოწვევაზე:

1. პასუხისმგებელი უწყებების როლი და მუშაობის შედეგები:

- სახელმწიფო უწყებების უმეტესობამ, მეტწილად, შეასრულა გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალების გაძლიერებასა და მათი მონაწილეობის გაზრდას ემსახურება.

- ამასთან, გამოიკვეთა გარკვეული სირთულეები, მათ შორის - გეგმის ინსტიტუციონალიზაციის[11] კუთხით, რაც მნიშვნელოვანია პროცესის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მისი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შენარჩუნებას და შედეგების უფრო ფართო მასშტაბით გავრცელებას.

2. გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების მექანიზმების არარსებობა:

"ადამიანის უსაფრთხოების" მიმართულებით გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების მექანიზმების[12] არარსებობა იწვევს დაუცველობის მუდმივ განცდას, განსაკუთრებით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რეგიონებსა და სოფლებში.

- მექანიზმების არარსებობა ზრდის კონფლიქტის ესკალაციისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე დაგვიანებული რეაგირების რისკს, აფერხებს ადგილობრივი მოსახლეობის მომზადებასა და მათ ეფექტიან დაცვას არსებული საფრთხეებისგან. შედეგად, ქალები და გოგოები უფრო მეტად ხდებიან გენდერული ნიშნით ძალადობისა და სოციალური იზოლაციის მსხვერპლნი, რაც კიდევ უფრო ასუსტებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

11 ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ფორმალიზებას მისი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც მოიცავს, მათ შორის, დაწესებულებების შიგნით სამოქმედო გეგმის განხორციელების მკაფიო წესებისა და პროცედურების გაწერას, რომელიც უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას უწყებებში მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად; სამოქმედო გეგმის სხვადასხვა კომპონენტის შესრულებაზე, მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე პასუხიმგებელი კონკრეტული პირ(ებ)ის/სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრას; მონაცემების შედარებისა და გამჭვირვალობის მიზნით ანგარიშგების ფორმებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავებას; კარგი პრაქტიკის განმტკიცებისათვის წარმატებული ინიციატივების/გამოცდილების სისტემურ დანერგვას და სხვ.

12 გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმები - სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტის, კრიზისის ან ძალადობის რისკების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებას გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით.

3. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება:

- ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები უფრო ეფექტიანი გახდა, თუმცა ცნობიერების ამაღლების საჭიროება კვლავ აქტუალურია. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია სერვისების შესახებ. პრობლემად რჩება სტერეოტიპული შეხედულებები და სამართალდამცავი უწყებების მიმართ უნდობლობა, რაც ურთულებს მხარდაჭერის მიღებას.

- ინფორმაციაზე სათანადო მისაწვდომობის არარსებობა კიდევ უფრო ამძიმებს მსხვერპლთა მდგომარეობას. დროული დახმარების გარეშე იზრდება განმეორებითი ძალადობის რისკი და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის მიღების ალბათობა. შესაბამისად, აუცილებელია, სხვადასხვა უწყების მიერ ცნობიერების ამაღლების კამპანიების სისტემატურად ჩატარება, რაც გააძლიერებს ქალების ნდობას არსებული მექანიზმების მიმართ და ხელს შეუწყობს მათი უსაფრთხოების უფრო სრულყოფილ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას.

4. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებები:

- კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და ახალგაზრდები კვლავ აწყდებიან ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, როგორიც არის სხვადასხვა სახელმწიფო რესურსსა და სერვისზე შეზღუდული ან/და არასაკმარისი მისაწვდომობა.

- შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ ბევრ დევნილ ქალს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ, რაც ამცირებს მათი სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობას.

5. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა და შეფასებები:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან აღინიშნა, რომ მონაწილეთა გენდერული დისბალანსი კვლავ პრობლემად რჩება, განსაკუთრებით - ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებში.

- ქალების ჩართულობა უზრუნველყოფილია მხოლოდ კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში, გადაწყვეტილების მიღების საფეხურზე კი მათი მონაწილეობა კვლავ დაბალია.

4. შეფასების შედეგები

4.1. მოქმედების სფერო I: ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში

მიზანი 1: მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში ქალთა, წარმომადგენლობის გაზრდა და ეფექტიანი მონაწილეობის ამაღლება (მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე).

პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონაცემების წარმოება ამარტივებს გენდერული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და თანასწორობის პოლიტიკის სწორად განსაზღვრას. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება და შედეგების ანალიზი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობის გასაზრდელად მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში.

გეგმის მიხედვით, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოებაზე პასუხისმგებელია ოთხი[13] სახელმწიფო უწყება, რაც ქალებისა და კაცების თანაფარდობის შესახებ უფრო სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის. მონაცემების სეგრეგაციის მიზანია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებლის გაუმჯობესება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მათ შორის - უსაფრთხოების სექტორში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, დასაქმებულთა საერთო პროცენტული განაწილება შემდეგია: ქალების წილი 51.1%-ს შეადგენს, ხოლო კაცებისა - 48.9%-ს. მაჩვენებლები მიუთითებს შედარებით ბალანსირებულ თანაფარდობაზე ქალებსა და კაცებს შორის დასაქმების სხვადასხვა კატეგორიაში. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებ დიპლომატიურ უმაღლეს კატეგორიასა და არადიპლომატიური თანამდებობების პირველ რანგში კაცების პროცენტული წილი საგრძნობლად ჭარბობს.

ცხრილი N 3:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დასაქმებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით:

კატეგორია	ფაქტობრივად დასაქმებული	თანამდებობა-დიპლომატიური	თანამდებობა-არადიპლომატიური	I რანგი	II რანგი	III რანგი	IV რანგი	დიპლომატიური რანგი - უმაღლესი	დიპლომატიური რანგი - უფროსი	დიპლომატიური რანგი - უმცროსი	დიპლომატიური რანგი - პირველი	კლასი - I	კლასი - II	კლასი - III	კლასი - VI	კლასი - VIII	კლასი - IX	კლასი - X	კლასი - XI
ქალი %	51	49	58	23	53	56	54	20	53	66	58	40	77	100	50	100	0	0	0
კაცი %	49	51	42	77	47	44	46	80	47	34	42	60	23	0	50	0	100	100	100

13 აქტივობა 1.1.1. პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024; შსს, წერილი №MIA 9 24 02419327, 08/08/2024; საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275, 22/07/2024; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაცემების მიხედვით, ქალების წარმომადგენლობა მაღალია, მათ შორის - გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე. ეს ტენდენცია დადებითად მოქმედებს ქალების შესაძლებლობების გაძლიერებაზე სახელმწიფო სტრუქტურებში.

ცხრილი N 4:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში დასაქმებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით:

კატეგორია	2022 წელი		2023 წელი		2024 წელი II კვარტალი	
	ქალი %	კაცი %	ქალი %	კაცი %	ქალი %	კაცი %
პოლიტიკური თანამდებობის პირი	50	50	50	50	50	50
პირველი რანგის მოხელე	80	20	80	20	80	20
პირველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	83	17	80	20	80	20
მეორე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	60	40	60	40	60	40
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	33	67	60	40	60	40
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	80	20	82	18	82	18
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	33	67	33	67	33	67
სულ დასაქმებული	**63**	**37**	**68**	**32**	**68**	**32**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი რამდენიმე წელია წარმოებს. ხორციელდება სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემის სისტემური დამუშავება სხვადასხვა ცვლადის შესაბამისად როგორც თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში, ასევე - თავდაცვის ძალებში. ქალების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, სამოქალაქო ოფისში გაზრდილია, დაახლოებით, 9.5%-ით; რაც მოთხოვნილ ინდიკატორთან მიმართებით გვაძლევს 2.5% მატებას[14]. ამასთან, შემუშავებულია სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოების სახელმძღვანელო, რომლის დამტკიცება 2025 წლის I კვარტალში იგეგმება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, 2024 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, ქალთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე გაზრდილია 9.8%-ით. ამ მიმართულებით ზრდა შეინიშნებოდა 2022 და 2023 წლებშიც.[15]

14 ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით; საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 33%, სამიზნე მაჩვენებელი - 40%, 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით - 42.5%.

ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად[16] პასუხისმგებელმა უწყებებმა შექმნეს ადამიანური რესურსების მართვის არაერთი შიდა დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმტკიცებას და თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას უწყებების სტრატეგიებში.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან[17] ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. უწყებამ დაამტკიცა "გენდერული თანასწორობის კონცეფცია", რომელიც საფუძვლად უდევს გენდერული პოლიტიკის განხორციელებას სამინისტროს სისტემაში. 2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის, რომელიც სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს კარიერის მართვის ცენტრალიზებული სისტემის ამოქმედებაზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროცესის მეტ გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. 2023 წელს შეიქმნა სამხედრო პერსონალის კარიერის მართვის სამმართველო, სადაც გადამზადდნენ კარიერის მენეჯერები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ პერსონალის განვითარების ხელშეწყობაში. დამატებით, დამტკიცებულია ოფიცერთა და სერჟანტთა პროფესიული და კარიერული განვითარების კონცეფციები, რაც ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიულ წინსვლას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. დამტკიცდა[18] ადამიანური რესურსების მართვის 2024-2027 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს სამინისტროს ვალდებულებებს და სტრატეგიულ მიზნებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მათში გაწერილია სიტუაციური ანალიზი გენდერულ ჭრილში, რაც საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტიანად დაიგეგმოს და განხორციელდეს გენდერული პოლიტიკა უწყებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2021 წელს შეიმუშავა გენდერული თანასწორობის 2022-2025 წლების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას და ინტეგრირებას სამინისტროს სისტემაში. სტრატეგია ითვალისწინებს ქალებისა და კაცებისთვის

15 ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მყოფ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით; საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ქალთა წარმომადგენლობა - 17.3% თუმცა მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მონაცემი მიემართება უწყებაში დასაქმებულ ქალთა პროცენტულ მაჩვენებელს და არა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებს. ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა 2021 წლამდე 6-7 %-მდე მერყეობდა. შესაბამისად 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით რაოდენობა 51 ქალიდან 56 მდე გაიზარდა რაც 9,8% იან ზრდას გულისხმობს.

16 აქტივობა 1.1.2. პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649 10/07/2024; შსს, წერილი №MIA 9 24 02419327,08/08/2024; საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275, 22/07/2024.

17 აქტივობა 1.1.4. პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024; შსს, წერილი №MIA 9 24 02419327, 08/08/2024

18 მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება 1/545

თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას, ასევე, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია, როგორც პარტნიორი უწყება. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, სადაც ჩატარებულია რიგი ტრენინგები და სემინარები გენდერულ საკითხებზე. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლები უწყვეტად მონაწილეობენ ამ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს გენდერული საკითხების ასახვას პოლიტიკის დოკუმენტებსა და რეგულაციებში. შედეგად, სამინისტროში დაინერგა სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმი და შემუშავდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა.

გარდა ამისა, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ფორუმების ორგანიზებას, სადაც მონაწილეობდნენ გენერლები და მაღალი თანამდებობის პირები. ამ თანამშრომლობამ ხელი შეუწყო კონკრეტული შედეგების მიღწევას, მათ შორის - პირველად დანიშნულია ორი ქალი საბრძოლო 100-ეულის მეთაურის პოზიციაზე, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ჩატარდა ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, რომლის რეკომენდაციებიც ასახული იქნება სასწავლო პროგრამებში.

გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია, ასევე, თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მათ შორის - გენდერული აუდიტის ჩატარების კუთხით. ორგანიზაცია ცდილობს, გააძლიეროს პოლიციელ ქალთა ქსელი და ორგანიზებას უწევს ტრენინგებს უსაფრთხოების თემებზე, რაც მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალების წამყვან პოზიციებზე დაწინაურებისთვის.

თანამშრომლების კარიერული განვითარების პროგრამებში, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოების ფარგლებში[19] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებში რეგულარულად წარმოებს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე.

ცხრილი N 5:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კურსებში მონაწილეობის სტატისტიკა სქესის მიხედვით 2022-2024 წლებში:

ქვეყნის ფარგლებში:			
წელი	მონაწილეთა საერთო რაოდენობა	კაცი მონაწილე	ქალი მონაწილე
2022	3288	2982	306
2023	3360	2768	592
2024 (II კვარტალი)	2552	2129	423

19 აქტივობა 1.1.3. პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649 10/07/202; შსს, წერილი №MIA 9 24 02419327, 08/08/2024; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, წერილი №SSG 0 24 00160145, 17/07/2024; საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275, 22/07/2024.

საერთაშორისო დონეზე:			
წელი	მონაწილეთა საერთო რაოდენობა	კაცი მონაწილე	ქალი მონაწილე
2022	381	268	113
2023	484	356	128
2024 (II კვარტალი)	217	162	55

ცხრილი N 6:

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კურსებში მონაწილეობის სტატისტიკა სქესის მიხედვით 2022-2024 წლებში:

ქვეყნის ფარგლებში:	
სქესი	პროცენტული წილი
კაცი	77
ქალი	23
საერთაშორისო დონეზე:	
სქესი	პროცენტული წილი
კაცი	82
ქალი	18

ცხრილი N 7:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კურსებში მონაწილეობის სტატისტიკა სქესის მიხედვით 2022-2024 წლებში:

ქვეყნის ფარგლებში:	
სქესი	პროცენტული წილი
კაცი	50
ქალი	50
საერთაშორისო დონეზე:	
სქესი	პროცენტული წილი
კაცი	35
ქალი	65

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში და სისტემატურად აწარმოებს როგორც საქართველოში, ასევე - ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედი პროგრამების კურსდამთავრებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დამუშავებას. მონაცემები მოიცავს როგორც სამხედრო, ისე - სამოქალაქო პერსონალს.

სამხედრო ატაშეობისთვის ქალების მომზადება-გადამზადებაზე პასუხისმგებელ უწყებას[20] წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ეს არის გეგმით გათვალისწინებული ერთადერთი აქტივობა, რომელიც ამ წლების განმავლობაში შეუსრულებელი რჩება.

ამოცანა 1.2. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს[21] მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეების განსაზღვრის თაობაზე[22], ქალების წილი შეადგენს 36%-ს. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის[23] შეხვედრებში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილ მონაწილეთა შორის ქალების რაოდენობა 15%-ია.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგზე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე ტარდება ტრენინგები[24] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით[25].

ამოცანა 1.3. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახალგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, არაერთი შეხვედრა გამართა დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სახელმწიფო სტრატეგიის[26] შემუშავების პირველ ეტაპზე, დოკუმენტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების ინტეგრირების მიზნით. გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, 2022 წლის დასაწყისში მომზადდა სტრატეგიის პირველადი ვერსია, თუმცა, რეგიონში უსაფრთხოების ახალი რეალობის გათვალისწინებით, დოკუმენტის გადახედვა და მისი მომზადებისათვის ვადის გაგრძელება გახდა საჭირო. სამინისტრო განაგრძობს შეხვედრებს კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან.

20 აქტივობა 1.1.5. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024.

21 აქტივობა 1.2.1. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს გარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275,22/07/2024.

22 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275,22/07/2024: 2024 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა მოლაპარაკებების ორი რაუნდი, სადაც საქართველოს დელეგაციაში ქალთა ჩართულობა განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: 4-5 აპრილი, მე-60 რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 3 იყო ქალი, რაც 27%-ს შეადგენს; 25-26 ივნისი, 61-ე რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 4 იყო ქალი, რაც 36%-ს შეადგენს.

23 აქტივობა 1.2.3. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, წერილი №SSG 0 24 00160145, 17/07/2024

24 აქტივობა 1.2.2. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275,22/07/2024.

25 გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან შეხვედრა: ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ინკლუზიური სამშვიდობო პროცესები, მოლაპარაკებები და გენდერული პერსპექტივა "საჯარო უწყებების იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც მუშაობენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

26 აქტივობა 1.3.1. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს გარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/23275,22/07/2024

უწყების ინფორმაციით, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესში[27], რომელიც 2021 წლის აპრილში დაიწყო, აქტიურად მონაწილეობდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და ახალგაზრდები. 2022 წლის იანვარში შემუშავდა განახლებული სტრატეგიის პირველადი პროექტი, თუმცა რეგიონში უსაფრთხოების გარემოს ცვლილებამ დოკუმენტის გადახედვის საჭიროება წარმოშვა. ამ პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განაგრძო შეხვედრები ქალთა საინფორმაციო პლატფორმის წევრებთან, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან; ასევე, გამართა სემინარები და შეხვედრები ახალგაზრდებთან, სამშვიდობო პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენას და მათთან უშუალო კომუნიკაციას[28].

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის პრიორიტეტულია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება[29].

27 აქტივობა 1.3.2. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი V №1252, 16/07/2024.

28 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024. განხორციელდა შემდეგი აქტივობები: რეგულარული შეხვედრები (წელიწადში ორი შეხვედრა) სახელმწიფო მინისტრის აპარატთან 2021 წელს დაარსებულ ქალთა საინფორმაციო პლატფორმის წევრებთან, რომელიც აერთიანებს ქალთა საკითხებზე მომუშავე 15 წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციას. საინფორმაციო შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ) მონაწილეების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის: რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, რეგულარულად იმართებოდა იპრმ-ის მონაწილეების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ქალთა უფლებების დამცველების, ასევე, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების შეხვედრები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა დამსწრე საზოგადოებისთვის იპრმ-ის ფარგლებში განხილული საკითხებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება. 2022 წელს შეხვედრა გაიმართა გორში, ხოლო 2023 წელს - ზუგდიდსა და თბილისში. 2022 წლის მაისში ქ. ზუგდიდში, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, რომლის დროსაც, სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სტრატეგიული გადახედვის პროცესზე. ახალგაზრდებთან შეხვედრები: სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლის გაძლიერების ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2022-2024 წლებში სხვადასხვა ფორმატში ჩატარდა შემდეგი შეხვედრები და სემინარები: შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; ნატო-სა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის - „სამშვიდობო პოლიტიკა და ნდობის აღდგენა ოკუპირებულ რეგიონებთან“ - ფარგლებში, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით გაიმართა; თელავსა და წყალტუბოში - სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით და გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით (კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარები). ანაკლიის საზაფხულო ბანაკებში, მშვიდობის მშენებლობის პროცესში, სამშვიდობო იდეების მქონე მეტი ახალგაზრდის ჩართვისა და წახალისების, ცნობიერების ამაღლებისა და დაინტერესების მიზნით, 2023 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კიდევ უფრო გააფართოვა 2021 წელს შემუშავებული ინიციატივა - „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ახალი თემატური ნომინაციები: „საუკეთესო სამშვიდობო საქმიანობა“, „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ და „საუკეთესო სამშვიდობო გზავნილი“. შესაბამისად, 2022 წლისაგან განსხვავებით, ერთის ნაცვლად, რამდენიმე გამარჯვებული გამოვლინდა (3 ქალი, 1 კაცი), მათ შორის, 2 ეთნიკურად აფხაზი ახალგაზრდა. სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ევროსაბჭოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სამივე ნომინაციაში გამარჯვებულებმა მონაწილეობა მიიღეს სტრასბურგში გამართულ დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში, რომელიც მშვიდობის თემას ეძღვნებოდა.

29 აქტივობა 1.3.3. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024.

ამ მიზნით, 2022-2023 წლებში არაერთი შეხვედრა[30] ჩატარდა, რაც, ასევე, დასტურდება პარტნიორი მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციით[31].

დევნილთა განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიების სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში დევნილ ქალებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრის ჩატარებასა და მათ მიერ წამოყენებულ პრიორიტეტულ საკითხთა გათვალისწინებასთან დაკავშირებული[32] აქტივობის შესრულება 2024 წლის ბოლომდე იგეგმება.

ამოცანა 1.4. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და დევნილ ქალთა პრობლემებზე დიალოგის ხელშესაწყობად[33] საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით, რეგულარულ შეხვედრებს მართავენ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქალთა უფლებების დამცველებთან.

ამასთან, 2022-2023 წლებში, რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში[34], სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საინფორმაციო შეხვედრები იმართებოდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს (მათ შორის - ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ქალთა უფლებების დამცველებს), ასევე, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს შორის[35]. საინფორმაციო შეხვედრების

30 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024: სახელმწიფო მინისტრი აპარატის მიერ 2022-2023 წლებში შეხვედრები საოკუპაციო ხაზთან მდებარე 24 სოფლის ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით - 4 სოფლის მოსახლეობასთან.

31 სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია, წერილი №01/723, 26/07/2024. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა საოკუპაციო ხაზის შემდეგ სოფლებში: შამგონა, ტყაია; 2023 წელს შეხვედრა გაიმართა კოკში. შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 07/4792, 22/10/2024. გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულია 6 შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდა ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის, ფხვენისის, ზემო ხვითის, წითელუბნის, ნაწრეტის, შავშვების, შავშვების დ/ჩ, ხურვალეთის, ნადარბაზევის, ტირძნისის, თერგვისის, მეღვრეკისის, ერგნეთის, ბრინლეთის, ქვეშის, ქვ. არცევის, ვერხვების დ/ჩ. ჯამში, 117 მოქალაქე, მათგან 101 ქალი და 16 კაცი. ხაშურის მუნიციპალიტეტში შეხვედრები ჩატარდა სოფლებში წაღვლსა და ჩორჩანაში.

32 აქტივობა 1.3.4. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211. 21/11/2024

33 აქტივობა 1.4.1. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წერილი № 01/23275, 22/07/2024

34 აქტივობა 1.4.2. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024

35 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024: 2022 წლის 14 სექტემბერს, შეხვედრა გაიმართა ქ. გორში; 2023 წლის 18 მაისს - ქ. ზუგდიდში, ხოლო 14 ნოემბერს - ქ. თბილისში. 2024 წელს იგეგმება მორიგი შეხვედრის ორგანიზება.[36] აქტივობა 1.4.3. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის

მიზანია, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების ასახვა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების დღის წესრიგში. მათ შორის ქალების არასათანადო წარმომადგენლობის დაბალანსება და განსახილველ საკითხებში გენდერული ასპექტების ინტეგრირება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად მართავს შეხვედრებს[36] საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან როგორც ორმხრივ, ისე - მრავალმხრივ ფორმატში. ამ შეხვედრებზე განიხილება სამშვიდობო და ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზეთის რეგიონში სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში მოქმედ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას[37].

ცხრილი N 8:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2022-2024 წლებში საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დამტკიცების სტატისტიკა:

წელი	დამტკიცებული პროექტების რაოდენობა	ქალების საკითხებზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობა	პროცენტული წილი
2022	60	22	37%
2023	23	9	39%
2024 (II კვარტალი)	34	18	52%

36 ორგანიზება. აქტივობა 1.4.3. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი V №1252, 16/07/2024.

37 შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 07/4792, 22/10/2024. განხორციელებული ღონისძიებები: ქ. გორი - 2022-2024 წლებში, 2-ჯერ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, ესწრებოდა როგორც სოფლებიდან მოწვეული მოსახლეობა, ასევე, ადგილობრივი (მათ შორის სათემო) და საერთაშორისო ორგანიზაციები. ქ. მესტია - მესტიის ქალთა საბჭოში განხილულ იქნა „USAID“-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა, საერთაშორისო წარმომადგენლების ჩართულობით. ქ. კასპი - ოთხი შეხვედრა; ასევე, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროექტის - „დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და ახალგაზრდები „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის“ ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“ - ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია იგპ "თანხმობის“ს ფონდ "სოხუმის", ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ სწავლებები, ტრენინგები, შეხვედრები, საჭიროებების კვლევა, პრეზენტაციების და რეკომენდაციების წარმოდგენა დევნილი და გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები ქალების და გოგოების მონაწილეობით. რეგიონული მედია "ქართული მედია ჯგუფის" ღონისძიებები დევნილი, გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები და ლტოლვილი ქალების მონაწილეობით.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწყობს შეხვედრებს სამშვიდობო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით[38]. 2022-2023 წლებში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა არაერთი შეხვედრა ქალთა საკონსულტაციო პლატფორმის წევრებთან, რომლებშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა", ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ქალთა ფონდი „სოხუმი". 2024 წლის ბოლომდე იგეგმებოდა დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები[39].

მოქმედების სფერო I - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ უწყებების მხრიდან არაერთი აქტივობა ხორციელდება სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში ქალების მონაწილეობისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც კვლავ პრობლემად რჩება.

სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქალების მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში, პრაქტიკულად, ნულოვანია. პლატფორმები, სადაც პრობლემებზე საუბრის შესაძლებლობა არსებობდა, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული. ადგილობრივ დონეზე, ასევე, გამოწვევად რჩება ქალების რეალური ჩართულობა უსაფრთხოების პროცესებსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ქალების მონაწილეობა, უფრო მეტად, უზრუნველყოფილია სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და გაზიარების მიმართულებებში, მაგრამ საკმაოდ დაბალია მათი ჩართულობის მაჩვენებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, მათ შორის - უსაფრთხოების კუთხით ადგილობრივ დონეზე.

რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმების არარსებობა, რაც საგრძნობლად აფერხებს "ადამიანის უსაფრთხოების" მიმართულებით მუშაობის პროცესს და ტოვებს მუდმივი დაუცველობის შეგრძნებას, განსაკუთრებით - საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ თემებში.

38 აქტივობა 1.4.4. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024.

39 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024: 2022 წლის 15 ნოემბერს შეხვედრა შედგა ქალთა საკონსულტაციო პლატფორმის წევრებთან, რომელიც მიზნად ისახავდა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის, სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" - ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას, მიღწეული შედეგების შეფასებასა და სამომავლო გეგმების განხილვას. 2023 წლის 30 იანვარს გაიმართა სახელმწიფო მინისტრისა და საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი, რეინტეგრაციის საკითხებში მოლდოვის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, ოლეგ სერებრიანის, შეხვედრა ქალთა საკონსულტაციო პლატფორმის წევრებთან. 2023 წლის 29 ივნისს, ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, გაიმართა სახელმწიფო მინისტრისა და საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ერთობლივი შეხვედრა ქალთა საკონსულტაციო პლატფორმის წევრებთან. 2023 წლის 28 ნოემბერს გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა ქალთა საინფორმაციო პლატფორმის წევრებთან. შეხვედრის მიზანს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის, სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" — ფარგლებში 2023 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამება და მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების შეფასება წარმოადგენდა.

მოქმედების სფერო I - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

დევნილთა ჩასახლებებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ქალებმა შეხვედრებზე წამოჭრეს, იყო ჩართულობის ნაკლებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში,[40] რადგან არ ეძლევათ საკითხების განხილვის პროცესში მონაწილეობის საშუალება ადგილობრივ მმართველობებში. შედეგად კი, მათი პრიორიტეტები უგულებელყოფილია.

გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა მონაწილეობის დეფიციტი, ასევე, დაკავშირებულია ამ საკითხებზე მათ დაბალ ცნობიერებასა და ინფორმირებულობასთან. სოფლებში ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმ პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ მათ გაძლიერებასა და ლიდერობას.[41] შედეგად, ქალები ვერ იყენებენ შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება მიმართული იყოს მათი უსაფრთხოებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

უსაფრთხოების პრობლემები ხშირად იყო განხილვის საგანი ქალებთან შეხვედრების დროს, განსაკუთრებით, ჭალასა და ფოცხოეწერში. ქალები საუბრობენ შიშზე, რომელიც დაკავშირებულია ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრებასთან. ასევე, ხურჩასა და ჭალეში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა უსაფრთხოების საკითხების შესახებ ინფორმაციის არარსებობაზე და მის საჭიროებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები ამგვარი საფრთხის წინაშე დგანან, გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმები სათანადოდ არ არის განვითარებული. ქალები არ არიან ჩართულები უსაფრთხოების პროცესებსა თუ სისტემებში, რაც ამძაფრებს მათ დაუცველობის შეგრძნებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ქალები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ წამოყენებული საკითხები და საჭიროებები მიზნობრივ პროგრამებში ხშირად არ არის გათვალისწინებული. ქალები არ არიან ჩართულები ამ პროცესებში, რაც იწვევს მათ არასწორ და ნაკლებ ინფორმირებულობას საჭირო რესურსების შესახებ. არაერთი დასახლება, მათ შორის - ზედა ეწერი და ქუთაისის დევნილთა ჩასახლებები, განიცდის ინფრასტრუქტურული სერვისების სერიოზულ დეფიციტს, რამაც მძიმე გავლენა მოახდინა ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

40 კარალეთი, სკრა, წეროვანი, წილკანი, ხურჩა, ზედა ეწერი, ხეთა, ჭალე.

41 ხეთა, წილკანი,ზედა ეწერო.

მოქმედების სფერო I - შეჯამება

მოქმედების სფერო I-ის ფარგლებში, მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალთა მონაწილეობის ინსტიტუციურ დონეზე გაძლიერების მიმართულებით, მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. იმ ამოცანების რეალიზაცია, რომლებიც მიზნად ისახავდა ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარებას, აგრეთვე, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად იქცა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის.

ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ უსაფრთხოების პროცესებსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის დაბალი დონე კვლავ გამოწვევად რჩება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქალების ჩართულობა, ხშირად, უზრუნველყოფილია მხოლოდ კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში, გადაწყვეტილების მიღების დონეზე კი, მათი მონაწილეობა კვლავ დაბალია. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალების მეტი ჩართულობის ხელშეწყობა აუცილებელია, განსაკუთრებით-ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში, სადაც მათი ინიციატივები, პრაქტიკულად, არ ისახება.

დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა მათი ძლიერი სურვილი სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში ჩართვასთან დაკავშირებით. ქალებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი პრიორიტეტები ხშირად უგულებელყოფილია და არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია არსებული პროგრამებისა თუ რესურსების შესახებ, რომლებიც ქალთა გაძლიერებას და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს.

4.2. მოქმედების სფერო II: ძალადობის აღმოფხვრა, პრევენცია

მიზანი 2: ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის (მათ შორის -სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და "ადამიანის უსაფრთხოებასთან" დაკავშირებული რისკების) აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობა.

ამოცანა 2.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და "ადამიანის უსაფრთხოების" საკითხებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობით, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით, რეგულარულად მართავდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს[42] საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან, არასრულწლოვანთა მიმართ/მიერ ჩადენილ ძალადობასთან, სახელმწიფო სერვისებსა და უფასო იურიდიულ დახმარებას-

42 აქტივობა 2.1.1. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი V №1252 16/07/2024.

თან დაკავშირებულ საკითხებზე[43]. ჩატარებული შეხვედრების ის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე, დასტურდება სამიზნე მუნიციპალიტეტების ანგარიშებით.

კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, აგრეთვე, საკუთრებისა და მეწარმეობის სამართლებრივ საკითხებზე[44] იურიდიული დახმარების სამსახურმა 2022- 2023 წლებში და 2024 წლის მეორე კვარტალში სამიზნე აუდიტორიასთან ჩაატარა თერთმეტი[45] შეხვედრა. წლის ბოლომდე დამატებით იგეგმებოდა შეხვედრების გამართვა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, სხვადასხვა ლოკაციაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტროდან დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებათა კვლევის ანგარიშთან[46] დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველს ინფორმაცია არ მიუღია. აღნიშნულ თემაზე შეხვედრები ჩატარდა რიგ სამიზნე მუნიციპალიტეტში[47].

43 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; წერილი GOV №1252, 16/07/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაცია; წერილი №07/4792, 22/10/2024; სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია; წერილი №01/723, 26/07/2024; იმერეთის ადმინისტრაცია; წერილი 02/1278, 31/07/2024. 2022 წელს შეხვედრები ჩატარდა საოკუპაციო ხაზის შემდეგ სოფლებში: კოდისწყარო (კასპის მუნიციპალიტეტი), შამგონა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ჩორჩანა (ხაშურის მუნიციპალიტეტი), ჯარიაშენი (გორის მუნიციპალიტეტი), ტყაია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). შეხვედრებს ესწრებოდნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადგილობრივი თემის წარმომადგენლები - ჯამში 71 ქალი, 13 კაცი, 30 გოგო, 4 ბიჭი. 2023 წელს შეხვედრები გაიმართა შემდეგ სოფლებში: ნიქოზი (გორის მუნიციპალიტეტი), თვაურები (კასპის მუნიციპალიტეტი), პერევი (საჩხერის მუნიციპალიტეტი), ახალაბასთუმანი და კოკი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). შეხვედრებში სულ მონაწილეობდა 101 ქალი, 9 გოგო და 36 კაცი. 2024 წლის პირველ ნახევარში შეხვედრები გაიმართა შემდეგ სოფლებში: ბოჟამი (კასპის მუნიციპალიტეტი) და ქარქუშაანი (დუშეთის მუნიციპალიტეტი). შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 44-მა ქალმა, 8 კაცმა, 7-მა ბიჭმა და 7-მა გოგომ, მათ შორის - 2-მა შშმ პირმა. 2024 წლის ბოლომდე დაგეგმილია დამატებით 3 შეხვედრის ჩატარება საოკუპაციო ხაზის სოფლებში. ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის მიერ, ყოველწლიურად ჩატარებულია არანაკლებ 4 შეხვედრა შემდეგ საკითხებზე: სექსუალური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა; სახელმწიფო სერვისები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის/ძალადობა გამოვლილთათვის; სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ჩატარებულია 5 შეხვედრა, მათ შორის - გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 გასვლითი სხდომა. მათგან ერთი - გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ თექვსმეტ დღიანი კამპანიის ფარგლებში.

44 აქტივობა 2.1.2. პასუხისმგებელი უწყება - იურიდიული დახმარების სამსახური; წერილი № LA 3 24 00023911, 11/07/2024.

45 იურიდიული დახმარების სამსახური წერილის - № LA 3 24 00023911,11/07/2024 - თანახმად, 2022 წელს ჩატარდა 4 შეხვედრა: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯარიაშენში; ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში; კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიაში. 2023 წელს ჩატარდა 4 შეხვედრა: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში; კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვაურებში; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში; სოფელ ახალ აბასთუმანში. 2024 წელს ჩატარდა 3 შეხვედრა: კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჟამში; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარში; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარქუშაანში.

46 აქტივობა 2.1.3. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; წერილი №MOH 1 24 01235211,21/11/2024.

47 ქვემო ქართლის ადმინისტრაცია; წერილი №01/1254,06/08/2024: დმანისის მუნიციპალიტეტში ,,დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ ინიციატივით ჩატარდა 1 შეხვედრა დევნილ ქალებთან, რომლის ფარგლებში გაეცნოთ მერიაში მოქმედი პროგრამები და, მათი თხოვნის გათვალისწინებით, დევნილი ოჯახები ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის“ მოსარგებლეები გახდნენ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს დევნილ ქალებთან მათი საჭიროებების გაცნობის კუთხით და შედეგებს აცნობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. წალკის მუნიციპალიტეტში ტარდება შეხვედრები ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, დევნილი ქალების ჩართულობით.

ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით[48] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტრომ 2024 წელს ჩაატარა ონლაინ შეხვედრა წეროვანში ჩასახლებულ დევნილ ქალებთან. ძუძუს კიბოსა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით რიგ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ტარდება კამპანიები - "ვარდისფერი ოქტომბერი".

პასუხისმგებელი უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პრინციპების ასახვის უზუნველსაყოფად[49] საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში ისწავლება საგანი „მოქალაქეობა", რომლის სტანდარტში ინტეგრირებულია სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის პრინციპები[50].

ამოცანა 2.2. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიმართულებებით

უსაფრთხოების სექტორში სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით[51] ***საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში*** ფუნქციონირებს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი, რომელიც, კომპეტენციის ფარგლებში ავლენს სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტებს და ახდენს სათანადო რეაგირებას, მათ შორის, უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირებას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 2023 წლის 23 ოქტომბერს დამტკიცდა "საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი". ეროვნული თავდაცვის აკადემიამ პროაქტიულად, საკუთარი ინიციატივით, 2024 წელს დაამტკიცა შიდა პოლიტიკის დოკუმენტი სექსუალურ შევიწროებაზე, სახელწოდებით: "სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი".

48 აქტივობა 2.1.4. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტრო; წერილი №MOH 1 24 01235211,21/11/2024.

49 აქტივობა 2.1.5. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; წერილი № MES 1 24 0000848299,11/07/2024.

50 საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი № MES 1 24 0000848299, 11/07/2024; 2022-2023 სასწავლო წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით მთის სტატუსის მქონე დასახლებების 56 საჯარო სკოლაში დაიწყო საგნების - "სამხედრო საქმე" და "თავდაცვა და უსაფრთხოება"- სწავლება, რომლის მიზანია, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს გააცნოს სამხედრო საქმის საფუძვლები. დამტკიცდა "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" განახლებული დოკუმენტი, სადაც უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი სამშვიდობო განათლებისა და თანასწორობის საკითხები.

51 აქტივობა 2.2.1. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024;შსს; წერილი №MIA 9 24 02419327, 08/08/2024; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, წერილი №SSG 0 24 00160145, 17/07/2024.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სექსუალური ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების არსებული მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესებისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესაბამისი სპეციალისტების გადამზადებასა და მათი ცნობიერების ამაღლებას, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. პარტნიორებთან თანამშრომლობით, სამსახურის წარმომადგენლებმა საანგარიშო პერიოდში არაერთ ტრენინგსა და ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

გაერო-ს ქალთა ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმზე ტრენინგი ჩატარდა სამივე პასუხისმგებელ უწყებაში, აგრეთვე - დაზვერვის სამსახურსა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. მათგან ორმა უწყებამ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და დაზვერვის სამსახურმა, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, დანერგა სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი.

რაც შეეხება სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების (მათ შორის - კონფლიქტურ და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებთან დაკავშირებულ საკითხებზე) განახლებული მოდულის დამტკიცებას,[52] პასუხისმგებელი უწყებებიდან, საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიდან, მიღებული წერილების თანახმად, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესახებ განახლებული სასწავლო მოდულები ორივე უწყებას აქვს ინტეგრირებული შესაბამისს კურიკულუმებში, პოლიციელებისა და სამხედროების მომზადება-გადამზადების სხვადასხვა მიმართულებისა და დონის კურსებზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გენდერული თანასწორობის და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუცია და შემდგომი რეზოლუციები ინტეგრირებულია სამშვიდობო ოპერაციების გადასროლისწინა მომზადების პროგრამებში და, ამ ეტაპზე, მოდული განახლებას არ საჭიროებს[53]. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მოდულები სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია[54]. მოდული "გენდერი და უსაფრთხოება" ინტეგრირებულია[55] "თავდაცვის საორიენტაციო კურსში", რომელიც ყოველწიურად ხორციელდება თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში; გენდერული თანასწორობის და

52 აქტივობა 2.2.2. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024; შსს, წერილი №MIA 9 24 02419327,08/08/2024.

53 აქტივობა 2.2.3. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6,24 00863649, 10/07/2024. აქტივობა 2.2.4. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024.

54 აქტივობა 2.2.5. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წერილი №MOD 6 24 0086 3649,10/07/2024.

55 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024; ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ინტეგრირებული იყო პროგრამის - "ქალები თავდაცვაში: მომავალი ქალი ლიდერების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა" - ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში. აღნიშნული 3-წლიანი პროგრამა დასრულდა 2023 წლის ბოლოს, ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ცნობიერების ამაღლების ტრენინგები გაგრძელდა თავდაცვის სამინისტროს ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის. 2024 წლის იანვრიდან თავდაცვის სამინისტროს ახალდანიშნული პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის ფუნქციონირებს გაცნობითი პროგრამა რომლის ფარგლებშიც ახალდანიშნულ მოხელეებს ევალებათ გენდერული თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსის გავლა.

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ სწავლებები, აგრეთვე, ინტეგრირებულია "მოხელის მენეჯერული უნარების" და "პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამაში", რომლებიც, ასევე, რეგულარულად ტარდება თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში[56]. საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისთვის შექმნილია/დანერგილია ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამა[57]. ასევე, სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების სწავლება ინტეგრირებულია გადასროლისწინა მომზადების სასწავლო პროგრამაში. ამჟამად აღნიშნული პროგრამები არ საჭიროებს განახლებას. ასევე, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გადამზადდა 40 გენდერული მრჩეველი.[58]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ორი ტრენინგი[59]: „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე[60].

გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის თანახმად, უსაფრთხოების სექტორის ხუთ უწყებას - საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, უსაფრთხოების საბჭოს დეპარტამენტის უფროსებს, საშუალო მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებს და სხვა თანამშრომლებს პროექტის ფარგლებში ჩაუტარდათ პროფესიული განვითარების სესიები (2022 წლის ივნისიდან 2023 წლის აპრილამდე პერიოდში, 11 თვის განმავლობაში). სწავლებას ესწრებოდა 35 მონაწილე. ტრენინგები ეხებოდა სხვადასხვა თემატურ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგთან. მონაწილეთაგან შეიქმნა ქსელი,

56 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024; ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ინტეგრირებული იყო პროგრამის - "ქალები თავდაცვაში: მომავალი ქალი ლიდერების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა" - ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში. აღნიშნული 3-წლიანი პროგრამა დასრულდა 2023 წლის ბოლოს, ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის დაფინანსებით, ცნობიერების ამაღლების ტრენინგები გაგრძელდა თავდაცვის სამინისტროს ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის. 2024 წლის იანვრიდან თავდაცვის სამინისტროს ახალდანიშნული პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის ფუნქციონირებს გაცნობითი პროგრამა რომლის ფარგლებშიც ახალდანიშნულ მოხელეებს ევალებათ გენდერული თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსის გავლა.

57 აქტივობა 2.2.6. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024

58 აქტივობა 2.2.7. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; წერილი №MOD 6 24 00863649, 10/07/2024

59 გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან შეხვედრა: 2023 წლის ნოემბერში შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ჩაატარეს ტრენინგი; სწავლება მიზნად ისახავდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების და, ამ მიმართულებით, უწყების კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების ეფექტიანშესრულებას. 2023 წლის დეკემბერში გაიმართა „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ გაეროს 1325 რეზოლუციის შესახებ ტრენერთა ტრენინგი. ტრენინგს დაესწრო შსს აკადემიის 5 და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 5 თანამშრომელი. უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების სექტორის მართვის ჟენევის ცენტრისა (DCAF) და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით შემუშავებული სატრენინგო მოდულის თანახმად, 2024 წლის განმავლობაში იგეგმება მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის. ტრენინგ მოდული ეხება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპებს და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებს.

60 აქტივობა 2.2.8. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს შსს, წერილი №MIA 9 24 02419327,08/08/2024

რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და თანამშრომლობას უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ქალებისა და გოგოებისთვის უსაფრთხოების საკითხებზე წელიწადში ორი შეხვედრის ჩატარებასთან დაკავშირებით[61], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, სხვადასხვა ლოკაციაზე პერიოდულად ტარდება შეხვედრები[62]. აღნიშნული აქტივობის შესრულებას მოწმობს მუნიციპალიტეტებიდან, როგორც პარტნიორი უწყებებიდან, მიღებული ინფორმაციაც.

საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლები გადამზადნენ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ საკითხებში[63;64].

61 აქტივობა 2.2.8. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წერილი №MIA 9 24 02419327, 08/08/2024

62 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წერილი №MIA 9 24 02419327,08/08/2024: 2022 წლის 28 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ ტყაიაში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების საკითხებზე.. 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო, ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ თვაურებში, გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ ნიქოზში და საჩხერის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ პერევში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ ახალ აბასთუმანში, კოკში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების საკითხებს. 2024 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში შსს-ს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო კასპის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფელ ბოჟამში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სახელმწიფო სერვისებისა და უფასო იურიდიული დახმარების საკითხებზე, გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში. შეხვედრაში მონაწილე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია შემაკავებელი ორდერის ფარგლებში მსხვერპლთა დაცვის, მათ შორის, ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მექანიზმებსა და, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვიანობის გზებზე.

63 აქტივობა 2.2.10. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს გენერალური პროკურატურა, წერილი №13/45860,12/07/2024.

64 საქართველოს გენერალური პროკურატურა, წერილი №13/45860,12/07/2024: პროკურატურის თანამშრომლებისთვის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაერო-ს რეზოლუციების საკითხები ინტეგრირებულია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურორთა და გამომძიებელთა სპეციალიზაციის კურსში, ასევე, ევროპის საბჭოს მენტორინგის პროგრამასა და „HELP"-ის ორ სასწავლო კურსში: „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული" და "ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე". 2022 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სპეციალიზაციის კურსის ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის 16 თანამშრომელი (14 მენეჯერი, 2 პროკურორი). ასევე, აღნიშნულ თემაზე დისკუსია გაიმართა ქ. სტრასბურგში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, პროექტის - „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობისა და სხვა ევროპული სტანდარტების დანერგვა აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში" - ფარგლებში. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის ორი მენეჯერი. 2023 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სპეციალიზაციის კურსის ფარგლებში გადამზადდა პროკურატურის 22 თანამშრომელი (21 პროკურორი, 1 გამომძიებელი), ხოლო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ევროპის საბჭოს „HELP"-ის სასწავლო კურსის ფარგლებში გადამზადდა 21 პროკურორი. ამასთან, ანალოგიურ საკითხებზე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მენტორინგის პროგრამა "ქალთა მისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე", რომელშიც მონაწილეობდა 10 პროკურორი. 2024 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ევროპის საბჭოს „HELP"-ის სასწავლო კურსის ფარგლებში გადამზადდა 21 პროკურორი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალოგიურ საკითხებზე საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს მენტორინგის პროგრამა - "ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე", რომელშიც მონაწილეობს 10 პროკურორი. მენტორინგის პროგრამის ფარგლებში პროკურორები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გადიან ევროპის საბჭოს „HELP"-ის სასწავლო კურსს - "ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე", სადაც, ასევე, ინტეგრირებულია „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხები. ამავე რეზოლუციის საკითხები პროკურატურის თანამშრომლებისთვის ინტეგრირებულია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურორთა და გამომძიებელთა სპეციალიზაციის კურსში, ასევე, ევროპის საბჭოს მენტორინგის პროგრამასა და „HELP"-ის ორ სასწავლო კურსში: „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული" და "ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე".

გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დევნილთა სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდა ორი ტრენინგი[65] სექსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების საკითხებზე. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგთან დაკავშირებით კი, ტრენინგი ჩაუტარდა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და რეგიონების 23 თანამშრომელს (17 ქალი, 6 კაცი)[66]. ამავე თემაზე ტრენინგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის დაგეგმილია 2024 წლის ბოლომდე.

მოქმედების სფერო II - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციის კუთხით არაერთი საინფორმაციო კამპანიის ჩატარების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კვლავ ბევრი გამოწვევა რჩება, განსაკუთრებით - კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში. წარმომადგენლებმა, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ საკითხებზე, ხაზი გაუსვეს, რომ ქალებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია სერვისების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ძალადობის პრევენციასა და მიმართვიანობას მასზე რეაგირებისათვის.

"ქალთა საინფორმაციო ცენტრის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად გარკვეული კამპანიების ჩატარების შედეგად სანდოობის გაუმჯობესებისა და ძალადობის შემთხვევებზე ქალთა მიმართვიანობის გაზრდისა, პროგრესი საკმარისი არ არის. ორგანიზაცია "მერკურის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში ოჯახში ძალადობის შესახებ კანონისა და თავშესაფრების არარსებობა და კრიზისული ცენტრების ნაკლებობა დამატებით ართულებს სიტუაციას.

აღსანიშნავია, რომ ქალთა უფლებების დაცვისაკენ მიმართულ სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობა და დაბალი ცნობიერება პრობლემაა არა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში, არამედ, ზოგადად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ. მაგალითად, "ქალთა ფონდი სოხუმის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონფლიქტისპირა რეგიონებში ქალები კვლავ არ არიან კარგად ინფორმირებულნი არსებული დახმარების მექანიზმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისადმი ნდობა გაიზარდა და ქალები მზად არიან, მიმართონ მას ოჯახში ძალადობისგან დასაცავად, სხვა კრიმინალური შემთხვევებისას სამართალდამცველთა მიმართ ნდობა კვლავ ძალიან დაბალია.

შეიძლება ითქვას, რომ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების გასაუმჯობესებლად საჭიროა ქალთა მიმართვიანობის გაზრდა და სერვისების შესახებ ინფორმაციის ფართო მასშტაბით გავრცელება ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

65 აქტივობა 2.2.11. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024.

66 აქტივობა 2.2.12. პასუხისმგებელი უწყება - იურიდიული დახმარების სამსახური, წერილი № LA 3 24 00023911, 11/07/2024.

მოქმედების სფერო II - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რესპონდენტმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციის უზრუნველყოფის კუთხით კვლავ ბევრი გამოწვევაა, განსაკუთრებით - კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ რეგიონებში. ქალებთან შეხვედრების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ხშირად არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სერვისების შესახებ. მაგალითად, თეთრწყაროსა და ხურჩაში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ცოტა რამ იციან ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებზე; მხოლოდ ზოგადად სმენიათ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ და არ იციან, როგორ უნდა მიიღონ რეალური დახმარება.

ძალადობის პრევენციის კუთხით გარკვეული კამპანიების ჩატარების მუხედავად, ხურჩასა და ვაზიანში გამართული შეხვედრებიდან ჩანს, რომ ეს სერვისები ქალებისთვის ხშირად არ არის მისაწვდომი. ვაზიანში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ თავშესაფრების შესახებ ინფორმაცია აქვთ, მაგრამ არ იციან, რამდენად ეფექტიანია მათი მომსახურება. ისინი აცხადებენ, რომ ფართო საინფორმაციო კამპანია ამ საკითხებზე ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.

ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, სადაც უსაფრთხოების საკითხები დღის წესრიგში მუდმივად დგას. სოფლებში მცხოვრებმა ქალებმა[67] აღნიშნეს, რომ ძალადობის პრევენციის საკითხებზე სახელმწიფოს მხრიდან შეხვედრები არ ჩატარებულა და არ ფლობენ ინფორმაციას ძალადობისა და უსაფრთხოების პრევენციის მექანიზმების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა კამპანიებმა და საინფორმაციო შეხვედრებმა, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები, პოლიციისადმი ნდობის ზრდა გამოიწვია, პრობლემები კვლავ აქტუალურია. გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები აცხადებენ, რომ ინფორმაციული მხარდაჭერის დეფიციტის გამო ძალადობის მსხვერპლთ არ აქვთ საკმარისი ცოდნა, თუ როგორ უნდა მიიღონ დახმარება და როგორ უნდა ისარგებლონ არსებული სერვისებით. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება იმ რეგიონებში, სადაც ინფრასტრუქტურის გაუმართაობა სერვისების მისაწვდომობას კიდევ უფრო ამცირებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალებთან შეხვედრებისას კვლავ გამოიკვეთა სტერეოტიპული შეხედულებები ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. მოწოდებული ინფორმაციით, მეზობლების დახმარებით ხდება ოჯახებში კონფლიქტების გადაწყვეტა. ცდილობენ არ მიმართონ სამართალდამცავ უწყებას, რაც ზოგ შემთხვევაში სტერეოტიპით ან და სამართალდამცავების მიმართ უნდობლობით არის გამოწვეული.

მოქმედების სფერო II - შეჯამება

მოქმედების სფერო II-ის - ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის - ფარგლებში მიღწეული პროგრესი გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებით, ემსახურება ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას და პრევენციას.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ღონისძიებების დიდი ნაწილი მიმართული იყო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლებისაკენ. მათ შორის, გაიმართა საკონ-

67 სოფლები: პერევი, ქარძმანი, წეროვანი, წილკანი, ზედა ეწერი, ჭალე.

სულტაციო შეხვედრები საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობასთან. **სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება და მათთვის სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯია ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის ხელშეწყობისათვის. ამასთან, სხვადასხვა სოფლებისა და იქ მცხოვრებ ქალებისა და გოგოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შეხვედრების გეოგრაფიული არეალის გაზრდა და** ცნობიერების ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგების ჩატარება უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისთვის, მათი კომპეტენციის ასამაღლებლად გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების პრევენციის და მათზე რეაგირების კუთხით. ამ ინიციატივების განხორციელების შედეგად, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სექტორში შედარებით მაღალი მგრძნობელობის მექანიზმები ამოქმედდა, რაც უზრუნველყოფს ძალადობის შემთხვევებზე შედეგზე მეტად ორიენტირებულ რეაგირებას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება, მათ შორის -გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების მექანიზმების არარსებობა, რაც „ადამიანის უსაფრთხოების“ მიმართულებით მუშაობის პროცესს აფერხებს და ტოვებს დაუცველობის განცდას. ასევე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ყველას არ აქვს წვდომა საჭირო სერვისებზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას.

დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, რაც ართულებს მათთვის განკუთვნილი დახმარების მიღებას. ეს პრობლემა გამოიკვეთა სხვადასხვა დასახლებაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ინფრასტრუქტურისა და სერვისების არარსებობა პირდაპირ გავლენას ახდენს მსხვერპლ ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობზე.

4.3. მოქმედების სფერო III: ქალთა გაძლიერება და დაცვა

მიზანი 3 - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის - დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების და გოგოების საჯარო სერვისებზე მისაწვდომობის გაზრდა და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება.

ამოცანა 3.1. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის - დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა.

გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარების სამსახურმა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის 21 უფასო საკონსულტაციო შეხვედრა ჩაატარა. აღნიშნული შეხვედრების ციკლი 2024 წლის ბოლომდე გრძელდება[68].

ლოკალიზაციის პროცესის გაუმჯობესებისა და გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის[69] წევრი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის

68 აქტივობა 3.1.1. პასუხისმგებელი უწყება - იურიდიული დახმარების სამსახური, წერილი № LA 32400023911, 11/07/2024.

საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში სისტემატურად მართავდა შეხვედრებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად[70]. ასევე, საქართველოს შსს-სა და მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებთან გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში სერვისების მიწოდებას იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს "მობილური იუსტიციის სახლის"[71] საშუალებით. დღეის მდგომარეობით, საქართველოში იუსტიციის სახლის 123 ფილიალია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისების მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწოდებას. ამასთანავე, საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, სერვისებზე მაქსიმალური მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად,[72] იუსტიციის სამინისტრომ 2021 წლიდან ინოვაციური პროექტი - „მობილური იუსტიციის სახლი“ - დაიწყო. პროექტის კონცეფცია შესაბამისობაშია გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნებსა და მათ მთავარ პრინციპთან - „არავინ დარჩეს სერვისების მიწოდების შესაძლებლობის მიღმა“. დღეისათვის, საქართველოს ყველა რეგიონში ოპერირებს, ჯამში, 20 „მობილური იუსტიციის სახლი“. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რიგ სოფლებში, საჩხერის, წალენჯიხის, ზუგდიდის, კასპისა და გორის (დიცი) მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობა რეგულარულად იღებს "მობილური იუსტიციის სახლის" მომსახურებას.

პანდემიის პრევენციული ზომებისა და სახელმწიფო სერვისების მიღების შესახებ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე ინფორმაცია გავრცელებულია პასუხისმგებელი უწყების - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ[73] საკუთარ ვებგვერდზე განთავსების გზით.

69 აქტივობა 3.1.1. პასუხისმგებელი უწყება: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის წერილი №GOV 6 24 00019978; 16/07/2024.

70 აქტივობა 3.1.2. პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის წერილი № GOV 6 24 00019978, 16/07/2024: 2023 წლის მანძილზე საოკუპაციო ხაზთან მდებარე 24 სოფლის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს სახელმწიფო მინისტრისა და მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა უშუალო კომუნიკაციის გზით. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წევრი სხვა უწყებების გეგმავენ რიგ შეხვედრებს 2024 წლის ბოლომდე. უშუალოდ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტისათვის. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის წერილი № GOV 4 24 00021243, 30/07/2024: გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შიდა ქართლში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში - ბერშუეთი, კირბალი, ზერტი, ხურვალეთი, წითელუბანი, შავშვები, ტირძნისი, ტყვიავი, ზემო ნიქოზი, მერეთი და გუგუთიანთკარი - მცხოვრებ ქალებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა. შეხვედრების მონაწილეებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ღონისძიებებზე, ქვეყანაში არსებულ ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და პოლიციისადმი მიმართვის გზებზე მიეწოდათ ინფორმაცია.

71 აქტივობა 3.1.3. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წერილი №8206,19/07/2024.

72 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წერილი №8206,19/07/2024: 2023 წლიდან - 2024 წლის ივნისის ჩათვლით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში იუსტიციის სამინისტროს სსიპ „იუსტიციის სახლი“, მობილური იუსტიციის სახლის ავტომობილების მეშვეობით, მომსახურებას უწევდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებს (საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებს): ლია, ქვემო ჭალა, წაღვლი, დვანი, ტახტისძირი, წეროვანი, შინდისი, პერევი, მერეთი, განმუხური და ფახულანი. აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე სოფლების მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, განსაზღვრულ დღეებში სრულფასოვანი მომსახურება მიეღო იუსტიციის სახლებში მისაწვდომ 500-მდე სერვისზე.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ამბულატორიების დამატებისა და აღჭურვის კუთხით, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასრულდა განმუხურის, ანაკლიის, კოკის, შამგონას, დარჩელის, დიდსის, ერგნეთის, კოდისწყაროს, ფლავის სოფლის ამბულატორიების მშენებლობა, ხოლო მერეთსა და ტირძნისში მიმდინარეობს ამბულატორიების რეაბილიტაცია. ყველა ამბულატორია აღიჭურვა შესაბამისი აპარატურით.[74] ასევე, სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ცნობის თანახმად, საოკუპაციო ხაზის სოფლებში იზრდება სამედიცინო ამბულატორიების რაოდენობა.[75] სამინისტროს ცნობით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდება საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში[76].

ამოცანა 3.2 კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის - დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიებზე და მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა.

გასული წლების მსგავსად, სასწავლო წლის განმავლობაში, დევნილი, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების სწავლის სემესტრულად დაფინანსება მიმდინარეობს 10 მუნიციპალიტეტში[77].

73 აქტივობა 3.1.4. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024.

74 აქტივობა 3.1.5. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024.

75 სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია, წერილი №01/723, 26/07/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 07/4792, 22/10/2024: კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში მიმდინარეობს ამბულატორიის მშენებლობა; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის სოფლებში სამედიცინო ამბულატორია საანგარიშო პერიოდში არ დამატებულა; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში სამედიცინო ამბულატორია მოწყობილია შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით და სამედიცინო პერსონალით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში სამედიცინო ამბულატორიების ჩამონათვალი: განმუხური - მიმდინარეობს მშენებლობა; ორსანტია - 2023 წელს რეაბილიტირდა; კოკი - მიმდინარეობს მშენებლობა; ხურჩა - 2019 წელს აშენდა ახალი ამბულატორია; შამგონა - მიმდინარეობს მშენებლობა; ახალაბასთუმანი - 2019 წელს აშენდა ახალი ამბულატორია; რიყე - 2023 წელს რეაბილიტირდა; ტყაია - 2023 წელს რეაბილიტირდა; გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ სოფლებში სამედიცინო ამბულატორიების მოწყობის ხელშეწყობის მიზნით მერიის მხრიდან ამბულატორიებისთვის ფართი გამოყოფილია. კასპის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით და სამედიცინო პერსონალით მინიმუმ ხუთი ამბულატორია ფუნქციონირებს. მიმდინარე წელს სამედიცინო ჰოლდინგის დაკვეთით მიმდინარეობს სოფელ კოდისწყაროს ამბულატორიის შენობის მშენებლობა.

76 აქტივობა 3.1.6. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024.

77 აქტივობა 3.2.1. პასუხისმგებელი უწყება: 1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; 2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, წერილი შ 1 24 0000848299, 11/07/2024: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 781 სტუდენტი. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში დაფინანსდა 2041 სტუდენტი (1140 ქალი და 901 კაცი); 2022-2023 სასწავლო წელს, ჯამში, დაფინანსდა 1871 სტუდენტი (1140 ქალი და 731 კაცი), ხოლო 2023-2024 სასწავლო წელს - 1520 სტუდენტი (900 ქალი და 620 კაცი). სოციალური პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა: 50-მა სტუდენტმა, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ და დაამთავრეს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლები; 230-მა სტუდენტმა, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ და დაასრულეს სწავლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან 2008 წლის ომამდე ბოლო ერთი წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სწავლა დაასრულეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ან 2008 წლის ომამდე ოჯახებთან ერთად მუდმივად ცხოვრობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სწავლა დაასრულეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტები: საჩხერე, ზუგდიდი, წალენჯიხა, მესტია, კასპი, ხაშური, გორი, ქარელი, დუშეთი და ონი.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული, საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის თაობაზე სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ ინფორმაციის თანახმად,[78] – საანგარიშო პერიოდში (2024 წლის იანვარი - ივნისი) დაფინანსდა 218 ბენეფიციარი, მათგან - 95 ქალი. ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვას პარტნიორი უწყებებიდან რიგი სამიზნე მუნიციპალიტეტებიც უზრუნველყოფენ[79].

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს დაბრუნებული დევნილი მიგრანტი ქალების დაფინანსებისა და შემოსავლის წყაროს გაჩენის საკითხები.[80] სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში (2024 წლის იანვარი-ივნისი) სააგენტოს განცხადებით მიმართა 1304 ბენეფიციარმა, საიდანაც 722 ქალია. გამარჯვებული 2024 წლის მეოთხე კვარტალში გამოვლინდება.

გეგმის შესრულების საანგარიშო პერიოდში, სოფლის განვითარების სააგენტოს საექსტენციო-საკონსულტაციო ცენტრებმა გამართეს 101 გასვლითი შეხვედრა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში. რომელთა ფარგლებშიც კონსულტაცია გაეწია 301 ქალს[81]. ასევე, პარტნიორი უწყებებიდან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას ქალებთან და ახალგაზრდებთან შეღავათიან აგრო- და მცირე ბიზნესგრანტებზე მისაწვდომობის მიზნით რიგი სამიზნე მუნიციპალიტეტიც უზრუნველყოფს[82].

78 აქტივობა 3.2.2. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024; პარტნიორი უწყება: სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“, წერილი №IDP 2 24 00901120, 26/08/2024.

79 სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია, წერილი №01/723, 26/07/2024; იმერეთის ადმინისტრაცია, წერილი №02/1278, 31/07/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 07/4792, 22/10/2024: კასპის მუნიციპალიტეტი: სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული, საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო უნივერსიტეტში, ასევე, ქალაქ კასპის პროფესიულ კოლეჯში. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეებს უფასო ტრანსპორტირებას საჩხერე-პერევი და პერევი-საჩხერის მიმართულებით (კვირაში 4 რეისი). ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სტუდენტებს მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა შეუძლიათ შეღავათიანი ტარიფით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ მერია ერთჯერადად გასცემს ფულად თანხას.

80 აქტივობა 3.2.3. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024 პარტნიორი უწყება - სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“, წერილი №IDP 2 24 00901120, 26/08/2024.

81 აქტივობა 3.2.4. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წერილი №5994/01, 01/08/2024.

82 სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია, წერილი №01/723, 26/07/2024; იმერეთის ადმინისტრაცია, წერილი №02/1278, 31/07/2024; ქვემო ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 01/1254, 06/08/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი №07/4792, 22/10/2024: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეღავათიან აგრო- და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან ინტენსიურად მიმდინარეობს საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები. საჩხერის მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ საჩხერის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სისტემატურად ხდება ველზე გასვლა და ინფორმაციის მიწოდება სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის, მათ შორის - საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში. ღონისძიებების ორგანიზებაში იღებს მონაწილეობას მერია. ყოველწლიურად ხორციელდება კონკურსი საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის https://shorturl.at/VZgtB. გარდა ამისა, მუნიციპალურ

ამასთან, მიკრო- და მცირე მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში დატრენინგებულია 2 454 ქალი მეწარმე, მათ შორის: 170 დევნილი, 71 შშმ პირი, 276 სოციალურად დაუცველი[83], აღნიშნული ტრენინგები მოიცავდა ზოგადი მეწარმეობის, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს. სამწუხაროდ, 2024 წელს, მიკრო გრანტების ახალი რაუნდი არ გამოცხადებულა.

ასევე, 2022-2024 წლებში საქართველოს მთავრობის ინიციატივის - "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" - ფარგლებში მოქმედი ფინანსური მექანიზმის, „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ “, საშუალებით ჩატარდა სამი საგრანტო კონკურსი და დაფინანსდა 67 ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ბიზნესპროექტი, რაც აქტივობის ინდიკატორს 4.5-ჯერ[84] აღემატება. ჯამში, დაფინანსებულ ბენეფიციართა 38%-ს ქალები შეადგენს.

ტექნიკურ სფეროებში უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით[85], საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალებმა საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა თემაზე რამდენიმე ტრენინგი გაიარეს[86]. ასევე, ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებასა და გადამზადებასთან დაკავშირებით სამიზნე მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა თემაზე ჩატარდა შეხვედრები და ტრენინგები[87].

დონეზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ სისტემატურად გასცემს კონსულტაციებს დასაქმებასთან დაკავშირებით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პერიოდულად ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები. მესტიის მუნიციპალიტეტში ტარდება შეხვედრები “აწარმოე საქართველოსა” და „SAID“-ის საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შეღავათიან აგრო- და მცირე ბიზნეს გრანტებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით პერიოდულად ტარდება შეხვედრები მოსახლეობასთან. წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ჩატარდა 3 (სამი) შეხვედრა ქალებისა და ახალგაზრდების შეღავათიან აგრო- და მცირე ბიზნეს გრანტებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. გორის მუნიციპალიტეტი - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის მცირე გრანტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჩატარდა შეხვედრები.

83 აქტივობა 3.2.5. პასუხისმგებელი უწყება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, წერილი №KA02017087221772,4 15/07/2024.

84 აქტივობა 3.2.6. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024.

85 აქტივობა 3.2.7. პასუხისმგებელი უწყება - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024.

86 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წერილი GOV №1252, 16/07/2024: ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, განხორციელდა სასწავლო კურსი - „როგორ დავიწყოთ ბიზნესი.“. კურსის მიზანია საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ ქალებში მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული შესაძლებლობების, მათ შორის, ბიზნესპროექტის შემუშავების უნარების გაძლიერება. 2022 წელს ჩატარდა ორი სასწავლო კურსი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 22-მა მსმენელმა (15 კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, 7 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი); 2023 წელს სასწავლო კურსის ერთი ციკლი განხორციელდა, რომელშიც 12 ქალი მონაწილეობდა. 2024 წლის 4 ივლისს, გაძლიერების შემდგომი ხელშეწყობისა და სასწავლო კურსის განვითარების მიზნით, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასა და ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გამოცხადდა მორიგი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სასწავლო კურსს 2024 წლის შემოდგომაზე 32 ქალმა გაიარა. ხოლო 2025 წელს მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ჩაერთონ საგრანტო კონკურსში და მიიღონ დაფინანსება ბიზნესპროექტების განსახორციელებლად.

87 სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია, წერილი №01/723, 26/07/2024; იმერეთის ადმინისტრაცია, წერილი №02/1278, 31/07/2024; ქვემო ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 01/1254, 06/08/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაცია, წერილი № 07/4792, 22/10/2024: სამიზნე მუნიციპალიტეტებში პერიოდულად ტარდება შეხვედრები პროგრამის -“აწარმოე საქართველოში” - ფარგლებში; გორის მუნიციპალიტეტში ინფორმაცია მიეწოდათ პროფესიული სასწავლებლების უფასო სასწავლო კურსის შესახებ; მოეწყო მრგვალი მაგიდის შეხვედრა ერთი მხრივ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა პროფ. სასწავლებლის, პროფ. ცენტრის და განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელების მონაწილეობით. შეხვედრა ონლაინ ფორმატში ჩატარდა; მას, დაახლოებით, 100 გოგო და ქალი დაესწრო სხვადასხვა სოფლებიდან. კასპის მუნიციპალი-

სოციალური სტიპენდიის მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით[88], საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოდან“ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სოციალური სტიპენდიის კონცეფცია მომზადდებოდა 2024 წლის ბოლომდე, ხოლო სტიპენდიის პილოტირება და დანერგვა დაგეგმილია 2025 წლისათვის.

გარემოსდაცვით საკითხებთან, მათ შორის, კლიმატის ცვლილების პროცესების შერბილებასთან დაკავშირებით[89], დევნილთა ჩასახლებებში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2022 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ივლისის ჩათვლით, აქტიურად მუშაობდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგების გადამზადების მიმართულებით[90].

ტეტში ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს კასპის ტექნოპარკი და DVV International კასპის ზრდასრულთა განათლების ცენტრი. სწავლა დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ და მოწყვლადი ჯგუფებისთვის ტრანსპორტირება ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან. მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული აქვს წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის როგორც სწავლის ღირებულების, ასევე, სტიპენდიის თანადაფინანსება. საჩხერის მუნიციპალიტეტში - შეღავათიან აგრო- და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით 2022-2023-2024 წლებში ჩატარდა საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ საჩხერის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებთან; მერია თანამშრომლობს მუნიციპალიტეტში არსებულ "ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასა" და კოლეჯ "სპექტრთან". ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობისა და ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერით გადამზადდნენ ფერმერი ქალები, რომლებმაც ისწავლეს ყველის დამზადების სხვადასხვა ტექნოლოგიები; ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტომ“ 2022-23 წლებში ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები და გააცნო ადგილობრივებს ვებპლათფორმა. მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ „კოლეჯი “თეთნულდი”, სადაც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია უფასო სასერთიფიკატო პროფესიული განათლების მიღება. მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტები პროფესიული განათლების მიმართულებით.

88 აქტივობა 3.2.8. პასუხისმგებელი უწყება: 1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, წერილი № MES 1 24 0000848299, 11/07/2024; 2. ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“, წერილი № MES 4 24 0000830345, 08/07/2024. 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი №MOH 1 24 01235211, 21/11/2024

89 აქტივობა 3.2.9. პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წერილი №5994/01, 01/08/2024.

90 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წერილი №5994/01, 01/08/2024: ამ დროისთვის სულ 6456 მასწავლებელია გადამზადებული. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე დასახლებებიდან გადამზადებულია დაწყებითი საფეხურის 137 მასწავლებელი 27 ნაკადის ფარგლებში. 20-საათიანი ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლები ეცნობიან გარემოსდაცვით და აგრარულ თემასთან დაკავშირებულ რვა საკითხს, მათ შორის, კლიმატის ცვლილებასა და ბუნებრივი საფრთხეების შემცირებას. პროექტის - "კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" - ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო სობისის და სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლებში 2023 წელს VII-XI კლასის მოსწავლეებთან ჩატარდა ტრენინგები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ. ტრენინგებს ესწრებოდა 65 მოსწავლე. სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა“ 2024 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისის ჩათვლით ბაღის აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის პირისპირ რეჟიმში გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში ჩაატარა ტრენინგი "სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“. მასწავლებლებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო, წყლისა და ენერგიის დაზოგვა, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული 4 ტრენინგის ფარგლებში 145 პირი გადამზადდა, მათგან - 23 პირი საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში დევნილთა ჩასახლებებში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარდა 27 ტრენინგკურსი და 6 ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 225 პირი.
პარტნიორი უწყებებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ჩართულია პროგრამაში „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის“. შესაბამისად, ხორციელდება ინფორმაციული შეხვედრები გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით როგორც დევნილ, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეწყობა დასუფთავების აქციები სამოქალაქო აქტივის მონაწილეობით. საჩხერის მუნიციპალიტეტში - გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის საკითხების პოპულარიზაციასთან, მათ შორის, კლიმატის ცვლილებების შერბილებასთან დაკავშირებით, შეხვედრები ჩატარდა 2022-2023-2024 წლებში.

რიგ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის, კასპის, გორის და ხაშურის მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის პერიოდულად ტარდება სადღესასწაულო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, სპორტული ტურნირები, თეატრალური წარმოდგენები, ფოლკლორული და საესტრადო კონცერტები. ამასთან, კულტურის სამინისტროს ინფორმაციით,[91] გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობით მომზადდა ფილმი, რომელიც ეხება მათ ცხოვრებას, ფილმში მოთხრობილია, როგორც ცხოვრების სირთულეები, ასევე შემორჩენილი ტრადიციები, კულტურული ფასეულობები, კულინარიული თავისებურებები და სპორტული აქტივობები. ასევე იმართებოდა სპორტული აქტივობები, რომელშიც ჩართული იყო 260 ზე მეტი საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები გოგო.[92]

მოქმედების სფერო III - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან ქალთა გაძლიერების კუთხით რამდენიმე ძირითადი გამოწვევა გამოიკვეთა:

- ***სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებზე მისაწვდომობა:*** ქალთა გაძლიერებისა და დაცვის მიმართულებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებზე მისაწვდომობის გამოწვევებზე. კერძოდ, ამ კუთხით ინფორმაციის ნაკლებობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ცდილობს, გააუმჯობესოს ქალთა სოციალური მდგომარეობა, რეგიონებში მცხოვრები ქალები ხშირად რჩებიან სერვისებს მიღმა.[93] გამონაკლისია ზუგდიდისა და ხონის მუნიციპალიტეტები, სადაც ქალებს აქვთ უფრო მეტი წვდომა ეკონომიკურ პროგრამებზე, რაც ხელს უწყობს მათი ბიზნესის განვითარებას. ამასთან, მიუხედავად სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით ქალებს უწყვეტად უნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია და საარსებო შემწეობა.

- ***დასაქმება:*** დასაქმებისა და სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეგიონებში მცხოვრებმა ქალებმა ხშირად არ იციან, თუ როგორ მიიღონ დახმარება სოციალური პროგრამებიდან ან აქვთ მცდარი ინფორმაცია ამ სერვისების შესახებ. სოციალური მხარდაჭერის სერვისებზე დაბალი მისაწვდომობის გამო ბევრი ოჯახი, ძირითადად, პენსიებსა და სხვა მცირე შემოსავლებზეა დამოკიდებული, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ეკონომიკურ მოწყვლადობას. სკრასა და ვერხვებში, ასევე, აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემები და წყლის ნაკლებობა ართულებს ქალების თვითდასაქმების შესაძლებლობებს.

- ***უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე მისაწვდომობა:*** განათლების სფეროში ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს უმაღლესი და პროფესიული განათლების მისაწვდომობაზე.

91 კულტურის სამინისტროს წერილი: № 00010099, 07/03/2025.

92 განხორციელებული სპორტული აქტივობები: „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშები"; „მხიარული სტარტები" და „თავისუფლების თამაშები". დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე 40-ზე მეტ სოფელში ჩატარდა ბავშვთა და სასკოლო სპორტის ფედერაციის ორგანიზებითა და სამინისტროს დაფინანსებით.

93 პრობლემა კვლავ აქტუალურია სხვა მუნიციპალიტეტებში, მაგალითად, ხურჩასა და სკრის დასახლებებში, სადაც სერვისებზე წვდომა ჯერ კიდევ არასათანადოა.

ბევრი ქალი რეგიონებში კვლავ ვერ ახერხებს განათლების მიღებას, რაც გამოწვეულია როგორც კურსების ნაკლებობით, ასევე, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული და სოციალური ბარიერებით. სოფელ კნოლევში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც გოგოებს მოუწიათ განათლების მიღებაზე უარის თქმა ხანდაზმული ოჯახის წევრების მოვლის გამო. სამწუხაროდ, ზრუნვის მოვალეობებიდან გამომდინარე, მსგავსი ფაქტები ხშირია, ვინაიდან კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში არ არის საკმარისი სერვისები, მათ შორის - საბავშვო ბაღები.

- ***ჯანდაცვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა:*** ჯანდაცვის მიმართულებით გარკვეული გამოწვევებია პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, წალენჯიხაში, გაუმჯობესდა ამბულატორიული სერვისები, ხურჩასა და ჩორჩანაში, ასევე, სხვა დასახლებებში კვლავ ხშირია ექიმების ნაკლებობა. სამედიცინო პერსონალი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით კვირაში რამდენჯერმეა მისაწვდომი,[94] რაც არ არის საკმარისი მოსახლეობის ჯანდაცვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ***მენტალური ჯანმრთელობის სერვისების*** ნაკლებობას/არარსებობას. განსაკუთრებით ხშირია პოსტტრავმული სტრესი, რომელიც ხშირად არის ფსიქოლოგიური პრობლემების მაპროვოცირებელი საოკუპაციო ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალებისა და გოგოებისთვის. ქალებმა აღნიშნეს ფსიქოლოგის სერვისის საჭიროება. მიუხედავად ძალისხმევისა, ***რეპროდუქციული ჯანმრთელობის*** შესახებ ცნობიერება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში კვლავ დაბალია და ქალები ხშირად არ სარგებლობენ უფასო სკრინინგის პროგრამებით. ეს გამოწვეულია, როგორც ინფორმაციის ნაკლებობით, ასევე, შიშით, რომ სკრინინგის დროს შეიძლება რაიმე დაავადება გამოვლინდეს.

- ***ინფრასტრუქტურა:*** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გაამახვილეს ყურადღება სუფთა სასმელი წყლის, სანიაღვრე არხების და კანალიზაციის სისტემების გაუმართაობაზე. მათ აღნიშნეს, რომ წალენჯიხასა და სენაკში სერიოზული პრობლემებია სასმელი წყლის მიწოდების მხრივ. ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ვერხვების დასახლებაში, წყლის მიწოდება ნაწილობრივ გაუმჯობესდა, თუმცა პრობლემა სრულად არ აღმოფხვრილა. ამასთან, შაომიანის დასახლებაში არსებობს ელექტროგაყვანილობის პრობლემები, რაც ხანძრის გამომწვევი მიზეზიც ხდება ხოლმე. ამასთან, ბინები ავარიული და ნესტიანია. ასევე, აღინიშნა, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, მაგალითად ხურჩაში, მოსახლეობას, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებს, განსაკუთრებით აწუხებს უსაფრთხოების საკითხი და ითხოვენ უსაფრთხოების სისტემების შექნას. ამას ემატება სოფლებში ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევების სიხშირე, რაც ხელს უშლის როგორც საგანმანათლებლო პროცესებს, ასევე, სასიცოცხლო სერვისების მიწოდებას.

- ***ტრანსპორტირებაზე მისაწვდომობა:*** ტრანსპორტის საკითხი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა რეგიონებში. ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ბევრი სოფელი არ არის დაკავშირებული მუნიციპალურ სატრანსპორტო სისტემასთან და რეგიონულ ცენტრებთან. მაგალითად, ერგნეთში მოსახლეობა ხშირად ვერ სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით, რადგან ის სრულად არ ემსახურება სოფელს და გვიან საათებში საერთოდ არ მუშაობს. ასევე, ხურჩასა და სკრაში ტრანსპორტზე მისაწვდომობა შეზღუდულია, რაც განსაკუთრებით ართულებს ბავშვებისა

94 სოფელ ხურჩაში სამედიცინო პერსონალი, 2024 წელს, კვირაში ორი დღე იყო ხელმისაწვდომი, ხოლო სოფელ ჩორჩანაში - კვირაში ერთი დღე.

და ახალგაზრდების გადაადგილებას სკოლასა და უნივერსიტეტში. ქალთა ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტის უკმარისობა რეგიონებში მთლიანად მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების, გოგოების და ახალგაზრდების განათლებაზე მისაწვდომობას. ზოგიერთი სოფელი საერთოდ ვერ სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით, რაც ართულებს სოციალური იზოლაციის პრობლემას. ამასთან, მოსახლეობა ხშირად ვერ ახერხებს ყოველდღიური საჭიროებების მოგვარებას ტრანსპორტის არარსებობის გამამ, რაც კიდევ უფრო აფერხებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მოქმედების სფერო III - დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

ქალთა გაძლიერებისა და დაცვის მიმართულებით, სოციალური და ეკონომიკური სერვისების, დასაქმების, უმაღლესი და პროფესიული განათლების , ასევე, ჯანდაცვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მისაწვდომობის კუთხით, ქალები და გოგოები კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, რაც საჭიროებს უფრო კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომას. შეხვედრებისა და გამოკითხვების დროს ქალებმა ხაზგასმით აღნიშნეს არსებული სირთულეები ამ სფეროებში, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისა და გოგოების შემთხვევაში.

- ***სოციალურ და ეკონომიკურ სერვისებზე მისაწვდომობა:*** ქალები მრავალგზის აღნიშნავენ სოციალური და ეკონომიკური სერვისების ნაკლებობას, განსაკუთრებით კი, საოკუპაციო ხაზის სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში. მათი ძირითადი საჭიროებები მოიცავს უკეთეს მისაწვდომობას ჯანმრთელობის სერვისებზე, საკვების უსაფრთხოებაზე, ბავშვთა მოვლის სერვისებსა და განათლებაზე. ქუთაისსა და წყალტუბოში მცხოვრებმა ქალებმა ყურადღება გაამახვილეს ადგილობრივი თვითმმართველობების არასაკმარის რესურსებზე სოციალური სერვისების გასაუმჯობესებლად, რაც ქალებს უზღუდავს საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. წეროვანში, წილკანში, ხეთაში და ჭალეში ქალებს არ აქვთ ინფორმაცია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სერვისებზე.

- ***დასაქმება:*** დასაქმების სერვისების ნაკლებობა, ასევე, დიდ პრობლემას წარმოადგენს. ზუგდიდსა და თეთრიწყაროში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით შესაძლებლობები შეზღუდულია, და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში იყო ქალებისთვის პროფესიული გადამზადების ტრენინგების ორგანიზების მცდელობები, ეს ინიციატივები სტაბილური და გრძელვადიანი არ ყოფილა.

- ***უმაღლესი და პროფესიული განათლების მისაწვდომობა:*** უმაღლეს და პროფესიულ განათლებაზე მისაწვდომობა კვლავ დიდი გამოწვევაა, განსაკუთრებით - კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში. ჭალისა და ქარზმანის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ქალები აღნიშნავენ, რომ განათლების სერვისების მიღების შესაძლებლობა შეზღუდულია, რადგან არ არსებობს საკმარისი დაფინანსება და სწავლის შესაძლებლობები ახალგაზრდა ქალებისა და გოგოებისთვის.

- ***ჯანდაცვა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა:*** ჯანდაცვაზე, მათ შორის, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე მისაწვდომობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ქალებმა აღნიშნეს, რომ წვდომა ხარისხიან ჯანდაცვასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე

ბევრ ადგილას შეზღუდულია. პერევისა და ქარზმანის სოფლებში ქალებმა ხაზი გაუსვეს ადგილზე შესაბამისი აპარატურისა და კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობას, რაც იწვევს სირთულეებს. წილკანში ამბულატორია თითქმის სულ დაკეტილია, ექიმიც იშვიათადაა მისაწვდომი, ხოლო ხეთაში აბლულატორია არის მძიმე მდგომარეობაში და არ არის აღჭურვილი. ასევე, ფსიქოლოგის[95] და ფსიქიატრის მომსახურების დეფიციტი მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

- ***ხანდაზმულთა მხარდაჭერა:*** ხანდაზმულთა მხარდაჭერის საკითხები გამოწვევად რჩება. თეთრიწყაროში და თვაურებში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ასაკოვან პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამები შეზღუდულია ან არ არის ადაპტირებული სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. "ჩვენი ხანდაზმული მოსახლეობა არ იღებს საკმარის დახმარებას, საპენსიო თანხები დაბალია და არ არსებობს პროგრამები, რომლებიც მათ მხარდასაჭერად არის გათვალისწინებული", - განაცხადეს ქალებმა. წეროვანში აღინიშნა, რომ არ არსებობს ხანდაზმულებისთვის შინ მოვლის პროგრამა. ადგილზე მარტოხელა ხანდაზმულები არიან, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები. ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით მიმდინარეობდა მუშაობა ხანდაზმულთა თავშესაფრის გახსნაზე, რომლის შენობაც USAID-ის მხარდაჭერით აშენდა, შენობა კი მუნიციპალიტეტს უნდა აღეჭურვა, რაც დღემდე არ განხორციელებულა.

- ***ინფრასტრუქტურა:*** ქალებთან შეხვედრებმა გამოავლინა ინფრასტრუქტურული გამოწვევები, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებს სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.[96] ქალებმა აღნიშნეს, რომ სუფთა წყლისა და სანიაღვრე სისტემების არარსებობა კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. მაგალითად, სკრაში სასმელი წყალი მოსახლეობას ხშირად არც მიეწოდება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებას. ინფრასტრუქტურული პრობლემები, ასევე, მოიცავს ელექტროენერგიის შეზღუდვას და საჯარო დაწესებულებების გაუმართაობას. ქალებმა აღნიშნეს, რომ სოფლებში ხშირად ითიშება ელექტროენერგია, რაც ართულებს როგორც ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას, ასევე - სხვა საჯარო სერვისების ეფექტიან ფუნქციონირებას. რიგ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ბაღები და სკოლები არასაკმარისად არის აღჭურვილი და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. ძირითადად, სოფლებში არ არსებობს სანიაღვრე სისტემა. წეროვანსა და წილკანში წვიმის დროს მოსახლეობას წყალი სახლში შედის და აღნიშნული საკითხი წლებია არ მოგვარებულა. ასევე პრობლემურია კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა ან/და არარსებობა.

- ***ტრანსპორტზე მისაწვდომობა:*** სოფლების მოსახლეობა განიცდის მუნიციპალური ტრანსპორტის უკმარისობას ან მის არარსებობას. ერედვსა და ფოცხოეწერში მცხოვრებმა ქალებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი სათანადოდ არ მუშაობს და ხშირად არ ემსახურება ადგილობრივებს საღამოს საათებში. საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა მწვავედ დგას ასევე წილკანში. აღნიშნული პრობლემა ართულებს მოსახლეობის გადაადგილებას და იწვევს სოციალურ იზოლაციას, რაც განსაკუთრებით დამაზიანებელია ქალებისთვის, რომლებიც ოჯახში მარტო არიან პასუხისმგებელი ბავშვების, ხანდაზმულების ან ავადმყოფების მოვლაზე. კნოლევში, ფოცხოეწერსა და წალენჯიხაში სატრანსპორტო პრობლემები დამატებით ართულებს ბავშვების სკოლასა და ბაღში სიარულს. მოზარდები ხშირად ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას ტრანსპორტის არარსებობის გამო, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ განათლებასა და მომავალ განვითარებაზე.

95 ფსიქოლოგის საჭიროება დასახელდა ზედა ეწერში.

96 სკრა, ხურჩა, წეროვანი, წილკანი, ხეთა.

მოქმედების სფერო III - შეჯამება

მოქმედების სფერო III-ის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, პასუხისმგებელი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გადაიდგა ნაბიჯები საჯარო სერვისებზე მათი მისაწვდომობის გაუმჯობესების, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სოციალური და ეკონომიკური დახმარების პროგრამებზე, რაც მიზნად ისახავს ქალების დასაქმების, უმაღლესი და პროფესიული განათლებისა და ჯანმრთელობის სერვისების გაძლიერებას.

თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სერვისების მისაწვდომობისა და მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. ხაზი გაესვა, რომ დახმარებები, როგორც წესი, არ არის საკმარისად ადეკვატური ქალებისა და გოგოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ბავშვთა მოვლა და განათლება. ქალთა უფლებადამცველებმა და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი აქტივობები ცნობიერების ასამაღლებლად და სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გამარტივება.

დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ არაერთ დასახლებაში კვლავ შეინიშნება ეკონომიკური სირთულეები და ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის ნაკლებობა. მაგალითად, სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ქალების თქმით, ინფრასტრუქტურის პრობლემები ხშირად ართულებს ბავშვების სკოლაში და ბაღში სიარულს, რაც მათ განათლების ხარისხსა და მომავალზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სოციალური და ეკონომიკური დახმარების პროგრამების გაძლიერება კი, შესაძლოა, დადებითად აისახოს როგორც ქალებზე, ისე - მათი ოჯახის წევრებზე.

საერთო ჯამში, გეგმის სფერო III-მ პროგრესი აჩვენა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, თუმცა კვლავაც საჭიროა სერვისების გაძლიერება და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მათი მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

5. ძირითადი მიგნებები

5.1. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებები

- ქალების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში;
- ქალების ეფექტიანი ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების მისაწვდომობის გაზრდა ინფორმაციაზე სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესების შესახებ;
- გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმების დანერგვა და ცნობიერების ამაღლება;
- უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენელთა მიმართ ნდობის აღდგენის შესახებ კამპანიების უზრუნველყოფა;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში სამშობიარო სახლებსა და გინეკოლოგის კონსულტაციაზე მისაწვდომობის გაზრდა;
- საოკუპაციო ხაზის სოფლებში მედიკამენტებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ქალების ცნობიერების ამაღლება უფასო ანტენატალური სერვისებისა და სკრინინგპროგრამების შესახებ;
- ოჯახის დაგეგმვის სერვისებსა და კონტრაცეპტივებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- აბორტის სერვისების შესახებ ინფორმაციაზე მისაწვდომობის გაზრდა;
- საოკუპაციო ხაზის სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა;
- ზრუნვის სერვისებზე მისაწვდომობის გაზრდა ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, საბავშვო ბაღების მომსახურებაზე მისაწვდომობა;
- საოკუპაციო ხაზის სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- შრომით ბაზარზე დაბრუნების მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესება და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში სოციალური და ეკონომიკური სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- აგრო- და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესის გაგრძელება, მცირე მეწარმეთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტების გაფართოვება;

- საოკუპაციო ხაზის სოფლების სასმელი და სარწყავი წყლით, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფა, სოფლების შიდა გზებისა და გარე განათების მოწესრიგება და მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

5.2. პასუხისმგებელი უწყებები

- გენდერული თანასწორობის პრინციპების განხორციელებისა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი პროგრამები დანერგილია და მათ განვითარებაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, ანალიზი, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, სექსუალური შევიწროების გასაჩივრების მექანიზმების დანერგვა მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ქალებისთვის დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნისა და გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე მათი წარმომადგენლობის გაზრდისათვის.

- უსაფრთხოებისა და სამშვიდობო პროცესებში ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელის გაზრდის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ამ სეგმენტის ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

- ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების მექანიზმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს “ადამიანის უსაფრთხოების” კუთხით პრევენციული ქმედებების ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულ რეაგირებას.

- მეტწილად გაიზარდა ჯანმრთელობის სერვისებზე მისაწვდომობა, მაგრამ ქალებისა და ახალგაზრდების მზარდი საჭიროებებიდან გამომდინარე, კვლავ გამოწვევად რჩება ფსიქიკური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე მისაწვდომობა.

- გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის კუთხით ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგოების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებასა და მათთვის შესაბამისი დახმარების მიწოდებას. თუმცა, არსებული სერვისები და რესურსები არ არის საკმარისი დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისათვის.

- ქალებისა და ახალგაზრდების მხარდასაჭერად შემუშავდა ეკონომიკური და პროფესიული განვითარების პროგრამები. მიუხედავად ამისა, გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, კვლავ გამოწვევად რჩება მათზე ინფორმირებულობა და მისაწვდომობა.

- დევნილთა ჩასახლებებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისათვის ჩატარდა პრევენციული კამპანიები და შეხვედრები გენდერული ნიშნით ძალადობის სხვადასხვა ფორმის, ასევე, არსებული საჯარო სერვისებისა და რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ, სამწუხაროდ, კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ქალებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო ინფორმაციაზე მისაწვდომობა ფართო გეოგრაფიულ არეალში.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ხელს უწყობენ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობას უსაფრთხოებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში, თუმცა უწყებების მხრიდან აუცილებელია მათთან თანამშრომლობის გაძლიერება.

6. რეკომენდაციები

გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, მომდევნო წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

ზოგადი რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასა და პასუხისმგებელ უწყებებს:

- პასუხისმგებელი უწყებების მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციონალიზაცია პროცესის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად;[97]

- კონსულტაციების გამართვა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, სამიზნე მუნიციპალიტეტების, სახელმწიფო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით;

- ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დევნილთა ჩასახლებებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებსა და ახალგაზრდებთან;

- დევნილთა ჩასახლებებსა და საოკუპაციო ხაზის სოფლებში მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში მისი ზეგავლენის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;

- ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობების რაოდენობისა და მრავალფეროვნების გაზრდა, ქალთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ეკონომიკური გაძლიერების, სახელმწიფო სერვისებსა და რესურსებზე მისაწვდომობის სფეროებში;

- ცნობიერების ამაღლებისა ღონისძიებებისა და საინფორმაციო კამპანიების გამართვა სამიზნე მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო სერვისებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციაზე მისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მათ შორის, სხვადასხვა მედიასაშუალებების ჩართულობით.

თემატური რეკომენდაციები პასუხისმეგებლი უწყებებისთვის:

1. სამშვიდობო პროცესებში ქალთა ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობა:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

97 აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება მხოლოდ გეგმის შესრულების პასუხისმგებელ უწყებებს.

რეკომენდაცია:

- ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და ადგილობრივ სამშვიდობო ინიციატივებში;

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და ადგილობრივ სამშვიდობო ინიციატივებში;

- სამშვიდობო პროცესებში ქალებისა და ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და ტრენინგების რაოდენობის გაზრდა;

- სამშვიდობო პროცესებში ქალების მიერ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის სტატისტიკის წარმოება.

2. ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

რეკომენდაცია:

- უსაფრთხოების სექტორში ქალების ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა, გადამზადება, შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრით;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის, ატაშეს პოზიციაზე, ქალი სამხედროების გადამზადება და მათი კარიერის შესაბამისად დაგეგმვა.

3. გენდერულად მგრძნობიარე აღრეული გაფრთხილების მექანიზმების დანერგვა:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

რეკომენდაცია:

- უსაფრთხოების სექტორის პერსონალის გადამზადება გენდერულად მგრძნობიარე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების საკითხებზე.

4. მისაწვდომი მხარდამჭერი სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების გაფართოება:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები.

რეკომენდაცია:

- დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და რესურსების შესახებ ჩატარებული კამპანიების რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის გაზრდა.

5. გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის კომპლექსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური", ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები - კომპეტენციის ფარგლებში.

რეკომენდაცია:

- გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციფიკური მხარდამჭერი პროგრამების რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის გაზრდა;
- სერვისებისა და რესურსების შესახებ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის გაზრდა.

6. პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისების გაფართოება საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში:

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რეკომენდაცია:

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ამბულატორიების რაოდენობის გაზრდა;
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებთათვის რეპროდუქციული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამების შექმნა და მისაწვდომობის გაზრდა;
- სამედიცინო პერსონალის გადამზადება გენდერულად მგრძნობიარე საკითხებსა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით.

7. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება:

პასუხისმგებელი უწყებები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები.

რეკომენდაცია:

- დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის ეკონომიკური გაძლიერებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების, აგრეთვე, მასში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა.

8. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია:

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროებს.

რეკომენდაცია:

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში/დასახლებებში გაგრძელდეს კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელება ქალებისა და გოგოების ჩართულობით.